

თველი

საქართველოში გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან; ხუთი თვით 2 მან. 1877-1906 | ადრესი: ქუთაისი, ტყელების ქ., №5. ტელეფ. № 922.

სარჩენი: — ალდგომა. — იუდა, ლექსი დ. თომაშვილისა. — თვალის გადავლებით, დ-სა. — ქრისტე აღდგა ლექსი აკაკისა. — ეროვნული საკითხი და ავტონომია, ი. გო-ლაძისა. — ქრისტეს ჯვარცმისა და ალდგომის აზრები, კ. ა-სა. — ნაფიც მსაჯულთა სამართალი, ივ. ზურაბიშვილისა. — ინგლისური აღზრდა, ლუჩოლასი. — ფილოსოფიიდან, გრ. კეკელიძისა. — უძმოს-ძმა, (დასასრული), ვეფ-ფშაველასი. — ნამუს ახლი (დასასრული) ვ. შალიკაშვილისა.

ა ლ დ გ ო მ ა

ამ ჟამად მთელი რუსეთი და კერძოდ ჩვენი სამშობლო ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მხოლოდ ბნელ ძალებს შეუძლიათ მიულოცონ „ალდგომა“ ერთმანეთს. ისინი დიდ სიხარულში არიან, — გუშინ, მიწაზე განარცხულნი და სულთმოპოვნი, დღეს ფეხზე წამოდგენ, წელში გაიმართენ, „მკვდრეთით აღდგენ“ და... მხიარულობენ, რომ სიკვდილი, რომელიც ხალხის გამოღვიძებამ და საბრძოლველად ამხედრებამ მოუახლოვა მათ, თავიდან აიცილეს, ცეცხლითა და მახვილით მოწინააღმდეგე დაამარცხეს, ძველი წესი აღადგინეს და ისევ ძველებურად გაბატონდნენ. და აბა, ასეთ გარემოებაში როგორ არ მიულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებულს და „მკვდრეთით აღდგომას!“

განა არა აქვთ მისალოცი? ბიუროკრატიულ სისტემის ერთგული მსახურნი, მთელი მისი პოლიცია და ქანდაკებია, ჯაშუშები და კაზაკები, ხალხის შინაური თუ გარეული წურბელები, — ყველა ესენი გუშინ მიფანტულ-მოფანტული და ენა ჩავარდნილი იყვნენ, დღეს კი სირობიდან გამოძვრენ და თავისუფლად დათარეშობენ სოფლად და ქალაქად. გამარჯვებით დამთვრალნი, ისინი ცეცხლით ანადგურებენ მთელ ქალაქებსა და სოფლებს, ცხადად ყველას თვალწინ იტაცებენ ხალხის ქონებას, უქელავენ და უმურტლავენ ადამიანს პირად ღირსება — პატიოსნებას და უსპობენ განუკითხავად არსებობას. არ არის განკითხვა, არ არის განსჯა, არც შებრალება. რეაქცია „მკვდრეთით აღდგომას“ დღესასწაულობს და ცდილობს საფლავში ჩამარბოს ხალხის ცხოველმყოფელი ძალა, ჩააქროს ხალხის თავისუფლებისადმი მისწრაფება. და ამ დროს, ამ საშინელ დროს შინაური დამურები, იცით, რას შვებებიან? მთავრობას დებუტაციებს უგზავნიან და მადლობას უთვლიან... რისთვის?! ამას, ალბად, სიტყვიერად განუმარტებდნენ ნატივ-სტინკის იმერეთის თავად-აზნაურების წარმომადგენლები.

ვისი მადლობა... რისი მადლობა...?!
ნეტავ რა არის სამადლობელი,
როდესაც უმწო, უმწყესურ ცხვარებში
დათარეშობდეს მსუნთხი მგელი!...

და ან ვინ არის მადლობის მოქმელი? ვილაცხა ორი თუ სამი კაცი, ჩინ-ორდენების მეძიებელი, ბიუროკრატი, ვითომ მამაცი!...

ხალხი იტანჯვის, სტირის, ქეთინებს; გადაბუგვია სახლი და კარი!.. რადროს მღერა? რადროს მადლობა? უნდა საქვეყნოდ ისმოდეს ზარი!..

ნამუსს რომ ჰხლიან ქალებს, შეტყუარებს: მამა-შვილს, ძმა-დას, თავის ცოლს ქმარი; თუ ხმა გაიღეს, მათაც მოჰკლავენ და მშველელი კი არავინ არი!..

ამისთანა დროს, ვინც ვანზე სდგება და მით მართალი თავი ჰგონია, სჩანს ბუნებითად ეგოისტია! გული აროდეს არა ჰქონია!..

და ფუი! იმას, ვინც არად აგდებს საერო ვნებას... ამდენ სატანჯველს... სარგებლობს მოძმის უბედურობით და ის რომ იწვის, მაშინ ითბობს ხელს...

რა დროს მადლია და რისი მადლი?! რა არის მაშინ სამადლობელი, როცა უმწო, უმწყესურ ცხვარში გაბატონდება მოსისხლე მგელი?!.

მაგრამ საქმე ისაა, რომ „მოსისხლე მგელის გაბატონება“ ამ ღაზურებს არ აწუხებს. პირიქით, ისინი რეაქციის შვებენელ ძალების გაბატონებისაგან გამოვლიან სიკეთეს და ჰგონიან, რომ რეაქციის „ალდგომა“ მათ გადაშენებულ წოდებასაც ალდგომას და კეთილდღეობას მოუპოვებს.

მხოლოდ მთავრობის რეაქციას და მის მოკავშირეებს ავიწყლებათ ქრისტეს ცხოვრების მაგალითი, იმ ქრისტესი, რომელსაც ისინი ვითომ ქრისტიანულად ვეფერებიან და ხალხის პურს ხელგაშლილად თავისთვის შესთხოვენ. ქრისტე ჯვარს აცვეს იმიტომ, რომ იგი არსებულ წესწყობილობას მტრობდა, მის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდა, ახალ ზნობრივ მოძღვრებას ქადაგებდა და, ამგვარად, ძველ საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველს ანგრევდა. მთავრობამ იგი შეიპყრო, ჯვარს აცვა და ამით თავი გამარჯვებული ეგონა, — ფიქრობდა, რომ შერყეული წესწყობილება ისევე გამაგრდა და ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩაღვა. მაგრამ სინამდვილემ ეს ილუზოა მალე დაარღვია. თავისი იდეები ქრისტეს სფლავში არ ჩაუტანია; მისი მოძღვრების აზრი, რომელიც მაშინდელ

მთავრობას მკვდარი ეგონა, „მკვდრებით აღსდგა“ და თავისი დანიშნულება შეასრულა. აღსდგა მკვდრებით, რადგან აზრი, იდეა არსებითად უკვდავია და მას ვერას დააკლებს ვერც „დამამშვიდებელი რაზმები“ და ვერც ტყვია ზარბაზნები.

დღეს რეაქცია თავის „აღდგომას“ დღესასწაულობს. მაგრამ როდემდის? ფრანგების ანდაზა ამბობს: „კარგად იციანის ის, ვინც ბოლოს იცინისო.“ და, იმედია, მალე ვნახავთ, რეაქციონერთა და ხალხს შორის „კარგად“ ვინ გაიცინებს და თავის საბოლოო „აღდგომას“ და გამარჯვებას ვინ ილღესასწაულებს...

ი უ ლ ა

თმა აბურძგენილი, პირ-მოქცეული, ხელ-ფეხ მოკრუნჩხულ ბრაზ-მორეული, ხან ჯოჯოხეთურ ზნელად ქცეული, ხან კი მიმქრალი, ფერ-მილეული,

იგი დაძრწოდა გაფთრებული, მის ფეხ-ქვეშ მიწა იზნიქებოდა და სევდა, შიში გაურკვეველი იმის სახეზე იხატებოდა!..

მას ზეცა რისხვით, მდინარე შთანთქმით, კლდე-ღრე ჩაყლაპვით ეშუქებოდა; სამშობლო ასე მისის შექმნისთვის თვით შემოქმედსა ემღერებოდა.

სატანა ხტოდა, დახარხარობდა, ბელეზელს სახე უბრწყინდებოდა და მის სიხარულის იუდას ღვაწლი შარავანდელად ეფინებოდა!

იგი კვლავ თრთოდა... სახე მოძღვრისა მას მარად თვალ წინ ელანდებოდა და თვით ამბორი მოლაღატური მის გულს მახვილად ეკვეთებოდა!..

ვეღარა ჯილდო ჯოჯოხეთური მის გაყინულ სულს ვეღარ ათბობდა და შეთანხმებით ქვესკნელ-ზესკნელი ჟვი იუდას! — ჩამოსძახოდა.

ეგ იყო მისი სინიდისის ხმა, ხმა საშინელი, სულის მქენჯნავი და ამ შინაგან ძლიერ მედგარ ხმას მან ძეწნის ხეზე შესწირა თავი!..

მაგრამ დღევალდელ იუდა გამცემს ეჭ, ვინ მოსთხოვოს ეგ სინანულ ი?... მაშინ იუდამ თავი დაიხრჩო, დღეს კი მას ელის ორდენი, ფული!..

დ. თოპაშვილი

თვალის გადავლევით.

საუკუნეთა წყვილიაღში შავ-ზნელად გამოიყურება გაფთრებული და სიკვდილ-მოსილი სახე იუდა მოციქულისა, ეს კლასიკური ტიპი ადამიანის ვერაგობის, გაიძევრობის და მოლაღატობისა.

გაისმის ღირსსახსოვარი ფრაზა: „გიხაროდენ, მოძღვარ!“

გაისმის მოლაღატის ამბორის ყოფა.

იმავე წყვილიაღში გამოსქვირს უგულო და მჭვრად ქცეულ ადამიანის — რომის იმპერატორის მოადგილის — პილატეს სურათი.

თვალ წინ გვიდგას მისი ხელის ბანა და ყურში ჩავგდახის მისივე სინანულის ხმა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისაო“.

ნათლად გამოსჩანს ჯვრებით შემკული თხემის ადგილი, რომელიც თავს დაპყრებს ფარისეველთა და მღვდელ-მთავართა სასპარეზო ქალაქს.

ამ საშინელ საუკუნეთა კუნაბეტში გამოკიათობს შარავანდელთ მოსილი სახე იესოსი, ამ მონათა, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის თავდადებულ მოძღვრისა და გაისმის მის ლომობიერ გულიდან ნაკადულად ამოხეთქილი ხმა:

„მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“...

მაგრამ სკრის, განა, ეს კაცთ მოყვარული მოწოდება?

პირიქით, როგორც საშინელი დაცინება ამ ჰუმანიურ მოწოდებისა, ჩვენ თვალთა წინ აღამართება სისხლით გასვრილი აჩრდილი წერონისა, რომელიც თითქო ჯოჯოხეთურად ხარხარებს ადამიანის სვე-ბელზე, როცა ამბობს: „ნეტავი წერა კითხვის უმეცარი ვიყო, რათა არ შემძლებოდა ჩემის ხელის მოწერით დამტკიცება ადამიანთა სიკვდილით დასჯის განაჩენისაო“.

ისტორიული ტრაგი-კომედიაა, განა?

ეს კია, რომ, როგორც ნაყოფი ამ ტრაგედისა, ჩვენამდე უწევს პირველ მოციქულთათვის აგზნებულ კოცონის გამოჩნაშუქი.

კოცონების ისტორია ყველას მოგეხსენებათ.

ხოლო ამაზე უარესი გახლდათ ივანე მრისხანეს მიერ მოგონილი სასჯელები.

იშვითადა, თუ რომელიმე მტარვალს ესოდენი ბოროტება ჩაედინოს თავისსავე მამულში.

მაგონდება ცნობილი „ოთოთაანთ ქორი“, რომელიც გარეულ ფრინველებს ვერას აკლებდა და შინაურებს დაუტარილდებოდა ხოლმე. დიად, შინაურებს, რადგანაც ეს შინაურება და ვაჟაკობის გამოჩენა დღეს ისტორიამ წილად არგუნა ოთოთაანთ ქორებს.

ძველი ბარბაროსები აწინდელთაგან იმით განირჩეოდენ, რომ ისინი თავისას კი არა, სხვებისას აოხრებდენ ხოლმე.

... „ტკივილთა გულისათა და ცრემლთა მიერ აღვიცხები, რამეთუ ვინ შემძლებელ არს მოთხოვრებად, რადენი მოსაწევარნი იქმნეს. ესეოდენ მძინვარედ ხოცდეს, რომელ ჩვილიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშევე დედისა დაინარცნიან; და რომელთამე თვალნი წასცივიდიან და რომელთამე ტვინი დაინთხის. დედანი მოიკვდიან, ბებერნი უწყალოდ ფოლორცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდეს და ქაბუქნი დაეკვეთებოდეს. სისხლისა მდინარენი დიოდეს, თავი ტანისაგან განშორებული და თმა ნაწლეფთა შიგან აღრეული. დედა კაცი და მამა კაცი ურთიერთარს აღრეულნი მტვერსა შიგან ცხენისა ტერფითა იზილებოდის... ხედიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა და ზოგნი მამათა და მამათა და ქმარნი ცოლთა უბატოდ მკვდრად მდებარეთა; ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლორცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა“...

ასე აგვიწერს ერთ ალაგას ჩვენი მატყანე აზიელ ბარბაროსთა შემოსევას.

გაუსწორეთ თვალი წარსულსა და აწმყოს!

დასდევით სამართლიანი მსჯავრი ძველსა და ახალ იუდას, პილატეს, ნერონს...

შეადარეთ ძველ და აწინდელ ბარბაროსთა შემოსევა!

და თუ მაშინ კიდევ ითქმებოდა, დღეს ხომ ჩვენც იესოსავით ვეღარ ვიტყვი: „მაშაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმანო!...“
დ. ჭოაღველი.

ძრისტიმ ალსდგა

„თანსწორობა, სიყვარული და ცოდვათა მიტევება,“ —
აი სახარების სიტყვა!
მაცხოვარმა ეს ინება.

მაგრამ კაცთა უგნურებამ და ბრბომ, წამის მიმდევარმა, დაივიწყა ის მოძღვრება, რაც დასტოვა მაცხოვარმა.

თანსწორობა, სიყვარული და ცოდვათა მიტევება დარჩა ისევ, როგორც ძველად, მხოლოდ სიტყვად!.. ფუქი მცნება...

როცა ვნატრობთ ყველა ამას, გარეგნობით ქრისტიანი, მაშინ მხოლოდ ვფარისევლობთ, გულში გვიძევს სხვა საგანი!..

და ვიძახით კაქკაქივით: „ქრისტე აღსდგა! ქეშმარიტად! და ახალი აღთქმა მცნებას მან დაუდგა მარტო ღვრიტად!..“

ამისთანა ხალხს ვერ ვეტყვი „ქრისტე აღსდგას“ წრფელის გულით და აღდგომას ვერ ვულოცავ თანგრძნობით და სიყვარულით!..

მე ვულოცავ ამ დიად დღეს მწუხარეს და გაქირვებულს, დაჩაგრულს და ბევრის ამტანს, სიმართლისთვის თავდადებულს!..

ყოველივე მართალია, რაც რომ ქრისტემ იქადაგა: დაემხოება ძველი წესი!...
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!!
აკაკი

ეროვნული საკითხი და ავტონომია

არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია აუხვიოს ცხოვრებას და ხალხის განვითარება თავის გვერდი საპრო-

გრამო შაბლონებს დაუმორჩილოს, პირიქით, თვით პარტიის სამოქმედო პროგრამა იცვლება იმ პირობების მიხედვით, რომლებშიც ესა თუ ის ხალხია ჩაყენებული. სულ სხვა ნაირად უნდა იმოქმედოს პარტიამ იქ, სადაც მრეწველობის განვითარება განსაკუთრებულ პოლიტიკურ ძალას ანიჭებს ქალაქ ადგილებში მცხოვრებ ქარხნების მუშებს, და სხვანაირად იმ ქვეყანაში, რომელიც მრეწველობის მხრივ ჯერ კიდევ განუვითარებელი და ჩამორჩენილია. სხვანაირად უნდა მოიქცეს პარტია იქ, სადაც თვითმპყრობელ მთავრობის ძალმომრეობა აუცილებლად ხდის ბრძოლას პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლად და სხვანაირად იქ, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება უკვე დიდი ხნის შემოსულია. ამიტომ შეუძლებელია, რომ პოლიტიკური პარტია გაბატონებულსა და დამონებულ ერებში ერთსა და იმავე სამოქმედო პროგრამას ეკედლებოდეს...

სადაც ერთი რომელიმე ეროვნება მეორე ეროვნებისგან არის დ მონებული, სადაც ხალხს ეროვნულ განვითარების საშუალებას უსპობენ და ძალით ცდილობენ მის ეროვნულ გადაგარებას, — იქ ხალხი, ამნაირ მდგომარეობის გამო, უკმაყოფილებას აცხადებს და სცდილობს თავიდან აიცილოს ეს ეროვნული დაჩაგრვა. ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობას, ვალდებულია ხალხის საამისო მისწრაფებას ხელი შეუწყოს და შესაძლებლად გახადოს ეროვნულ თანასწორობის დამყარება სახელმწიფოში. ყოველმა პარტიამ თავის პროგრამაში უნდა გაარკვიოს ეროვნული საკითხი და გადაქრით გამოაცხადოს, თუ რა საშუალებით აპირებს იგი ეროვნულ დაჩაგრვის და ძალმომრეობის მოსპობას.

ძველ ისტორიაში ეროვნული საკითხი არ არსებობდა. ერი ყოველივე პოლიტიკურ უფლებას მოკლებული იყო და საზოგადო საქმეებში არ ერეოდა, საზოგადო ცხოვრების სათავეში იდგა ხალხის უმცირესობა, მხედრობა ან თავადობა, და მათი ცხოვრება და ინტერესები მთელ ერის ცხოვრებად და ინტერესებად საღდებოდა. ძველ რომსა და საბერძნეთში თითო თავისუფალ მოქალაქეს რამდენიმე მონა ჰყავდა ისე, რომ მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენდნენ მონები, საშუალო საუკუნოებში კი, თუმცა მონობას ასეთივე გავრცელება აღარ ჰქონია, მაგრამ ხალხი, პოლიტიკურის და ეკონომიურის მხრივ, მონებისაზე უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა. ფეოდალურმა წესწყობილებამ ხალხს ვერაფერი პოლიტიკური უფლებები ვერ მიანიჭა და ამიტომ ფეოდალისს დროსაც ჩვენ არსად არ შეგვხვდება ეროვნულ საკითხის ხსენება.

ეროვნული საკითხი პირველად იქ ჩნდება, სადაც ხალხში შეგნება შედის, სადაც ხალხის უმეტესობა ჰგრძნობს თავის დუხჭირ მდგომარეობას და, ერთ რომელიმე საერთო მიზნით გამსჭვალული, ცდილობს ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას; ეროვნული საკითხი იქ იღებს განსაკუთრებულ სიმწვავეს, სადაც ხალხის განვითარება უმაღლეს წერტილამდის მისულია და სადაც ყოველი მოქალაქე ახერხებს თავის მდგომარეობის გაგებას. ეროვნული საკითხი, როგორც პოლიტიკური საკითხი, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნეში დაეღო სარჩულად ევროპის საზოგადო ცხოვრებას და ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკას სხვა და სხვა მიმართულებას აძლევდა.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია ეროვნულ საკითხის არსებობას არ სცნობდა, — მას ყველა „აღამიანად“ მიიჩნდა, რაღაც განყენებულ ცნებად, რომელიც დედა მიწის ყველა კუთხეში ერთაა.

რევოლუცია არღვევდა ყველა იმ ფეოდალურ საზღვრებს, რომელიც ხელს უშლიდა ადამიანის თავისუფალ განვითარებას, ამ საზღვრებთან ერთად მას სახელმწიფოს საზღვრებიც უნდა მოეკრა. თვით საფრანგეთში „ერთი და განუყოფელი“ რესპუბლიკა გამოაცხადეს, თათქო საფრანგეთის საზღვრებში არ ყოფილიყვნენ ბრეტონელები, ჰასკები და გერმანელები. საფრანგეთს საზღვარ გარეთაც შეუერთეს არა ფრანგებით დასახლებული ქვეყნები. ესპანელები, ჰოლანდელები, გერმანელები და იტალიელები საფრანგეთის ხელქვეითად განადგურდნენ, — ყველგან ძალით შემოქონდათ თავისუფლება, „საკაცობრიო თავისუფლება“, როგორც მას თვით ფრანგები ეძახდნენ, ნამდვილად კი „ფრანგული“ თავისუფლება.

ამისი შედეგი მალე აშკარა შეიქმნა უყურადღებოდ დატოვებული ეროვნული ინტერესები ყველგან, მთელ ევროპაში, ფრანგების საწინააღმდეგო ბრძოლის მიზეზად შეიქმნა. თავისუფლების, ძმობის და თანასწორობის მქადაგებლები ევროპაში სხვა ხალხების დასაპყრობად გადავიდნენ და, ეროვნულ თავისებურებათა მიუხედავად ყველგან ამყარებდნენ იმ კანონებს და იმ წყობილებას, რომელიც საფრანგეთში, ადგილობრივ პირობების მიხედვით, დამყარდა. მთელი ევროპა შეერთდა ნაპოლეონის დასამარცხებლად.

მას შემდეგ ეროვნულ პრინციპს თან და თან მეტი მნიშვნელობა ეძლევა; მეცხრამეტე საუკუნეს დასაწყისში თავისი ეროვნული ბრძოლა დაიწყო პატარა საბერძნეთმა, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა სამი საუკუნის წინეთ დაჰკარგა, ამ ბრძოლამ მთელ განათლებულ ევროპის ყურადღება მიიპყრო.

საბერძნეთს სერბია მოჰყვა, ისმალეთის ძალმომრეობამ ამ ქვეყნის მცხოვრები ხალხიც აიძულა ბრძოლა დაეწყო ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად.

1830 წ. ბელგიელებმა გაბედეს ჰოლანდიის ბატონობის ჩამოშორება და საკუთარი სახელმწიფო მოიწვიეს. მას პოლონეთი მოჰყვა, პოლონეთს უნგრეთი.

1863 წელს ეროვნული ბრძოლა გერმანელებმა დაიწყეს. ეროვნულ გაერთიანების სურვილმა მათ ბრძოლა დააწყებინა შლეზვიგ-ჰოლშტეინის შემოსაერთებლად. გერმანიის გაერთიანება 1870 წ. დასრულდა.

ამავე წელში მოხდა იტალიის გაერთიანებაც, თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ იტალიელებმა მოახერხეს საკუთარ სახელმწიფოს მოწყობა.

საზოგადოდ მეცხრამეტე საუკუნეში ყველა დიდი ეროვნება გაერთიანებას და სახელმწიფოს მოწყობას ცდილობდა. მაგრამ, როგორც სხვაგანაც ხდება, ამ გაერთიანების დროს ისინი სხვების, უფრო პატარა და სუსტ ერების, საჭიროებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და, ეროვნულ დაჩაგრვის მოსახპობად ამხედრებულნი, თვითონვე სჩაგრავენდნენ მათ საზღვრებში მოთავსებულ სხვა ეროვნების უმცირესობას. საფრანგეთში მაგ., ასეთ მდგომარეობაში არაა ბრეტონელები, გერმანიაში დანელები, პოლონელები, ინგლისში ირლანდელები და ავსტრია ხომ დღესაც ეროვნულ ბრძოლის ასპარეზად არის გადაქცეული. ავსტრიის მაგალითი განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის და საზოგადოდ რუსეთში მცხოვრებ ერებისათვის, რადგანაც იქ ეროვნული ურთიერთობა მეტად წააგავს რუსეთის მდგომარეობას. მართლაც, ავსტრია ყოველთვის გერმანულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, თუმცა იქ გერმანელები მცხოვრებთა უმეტესობას არ შეადგენდნენ, როგორც რუსეთ-

ში რუსები არ შეადგენენ უმეტესობას: ამიტომ იქ სახელმწიფო ენად გერმანული ენა იყო ცნობილი, რიგორც რუსეთში რუსული ენა სახელმწიფო ენად მიჩნეულია, მაგრამ იქ ამ უსამართლობას აღარ ურიგდება ხალხის უმეტესობა და ცდილობს მოიშოროს გერმანელების კულტურულ-ეროვნული გაბატონება. სახელმწიფოში ყველა ეროვნება თანასწორია, აცხადებს ავსტრიის კონსტიტუცია, და აი ახლა სწორედ ამ თანასწორობის განხორციელებას ცდილობენ გერმანელები კი საამისო ცდას თავის შეურაცხყოფად იღებენ და იმის მაგიერად, რომ დაუთმონ უმეტესობას, იბრძვიან თავის გაბატონების შესარჩენად, თავიანთ ბრძოლით კიდევ უფრო ამწვავებენ მდგომარეობას და შეუძლებლად ხდიან სახელმწიფოს ბუნებრივ განვითარებას.

თან და თან საქმე იქ იმდენად გამწვავდა, რომ საპარლამენტო ცხოვრება და მოქმედება შეუძლებელი შეიქმნა, ბრძოლაში თვით მუშა ხალხი შეება და ის ძალა, რომელიც კულტურულ მიზნების მოღწევას უნდა მოხმარებოდა, ამ უსარგებლო ბრძოლაში იკარგება.

სხვა და სხვა პოლიტიკურმა პარტიამ ავსტრიაში არა ერთხელ სცადა ეროვნულ საკითხის ისე მოწყობა, რომ ყველა ეროვნების სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ყველა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია იქაურ სოციალდემოკრატიის გადაწყვეტილება, რომელსაც იგი 1897 წ. ბრიუნის კონგრესზე დაადგა და რომელიც, საერთო აზრით, საბოლოოდ მოსპობს ავსტრიაში ეროვნულ ბრძოლას.

აი ეს გადაწყვეტილება:
 „რაკი ეროვნული განხეთქილება ავსტრიაში ხელს უშლის პოლიტიკურ წინსვლას და წინ ელოდება სხვა და სხვა ხალხის კულტურულ განვითარებას; რაკი ამ განხეთქილების მიზეზია ჩვენი საზოგადო წესწყობილების უვარგისობა და რაკი ეროვნულ ბრძოლის გაგრძობა გაბატონებულ კლასებისათვის საუკეთესო საშუალებაა თავის ბატონობის შესარჩენად და ხალხის ნამდვილ ინტერესების უყურადღებოდ დასატოვებლად, — ამიტომ კრება აცხადებს:

„ეროვნულ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ეროვნულ თანასწორობის დასამყარებლად ავსტრიაში აუცილებელი კულტურული მოახოვნებებია ყველასთვის და ამიტომ იგი პროლეტარიატისათვისაც ერთ ძირითად საჭიროებას შეადგენს“

„ეს გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება შემოსულია და სადაც უკვე მოსპობილია ყველა ფეოდალური პრივილეგია, რომელიც ავსტრიის სხვა და სხვა ნაწილს ძველადვე აქვს მინიჭებული, ვინაიდან მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში საზოგადოების მშრომელ ნაწილს შეუძლია ხორცი შეახსნას თავის სურვილებს.

„ავსტრიაში მყოფ ყველა ერის ეროვნულ თავისებურების შესარჩენა და განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამ სახელმწიფოში დამყარდა ნამდვილი ეროვნული თანასწორობა და მოისპო ყოველგვარი დაჩაგვრა და ძალმომრეობა. ამიტომ, უპირველესად ყოვლისა, უნდა მოისპოს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ყოველივე ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და სახე მწიფოს სხვა და სხვა ნაწილის ფეოდალური პრივილეგია.

„ამ პირობით და მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ავსტრიაში აღმართულ ეროვნულ შუღლის და გამხეთქილების

მაგიერად წესიერება დამყარდეს. ამ ახალ წესიერებას შემდეგი საფუძველი ექმნება:

„1) ავსტრია, როგორც სახელმწიფო, თავისუფალ ეროვნულ ერთეულთა დემოკრატიულ კავშირს უნდა წარმოადგენდეს.

„2) ავსტრიის ისტორიული განაწილება უნდა მოისპოს და მის მაგიერად უნდა მოეწყოს ეროვნული, თვითმართელობის მქონე ერთეულები. ყოველ ასეთ ერთეულში კანონდებლობა და გაბეგობა ეროვნულ პარლამენტს უნდა ჰქონდეს გადაცემული, ეს პარლამენტები ადგილობრივმა ხალხმა უნდა აირჩიოს საყოველთაო, პირდაპირ და ყველასათვის თანასწორ კენჭის ყრით.

„3) ერთისა და იმავე ერის ნაწილები, თვითმმართველ ერთეულებად შემდგარი, შეადგენენ ერთად ეროვნულ კავშირს, რომელსაც თავის ეროვნულ სექციებში ენიჭება სრული ავტონომია.

„4) ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცველად მთელ სახელმწიფოს საერთო პარლამენტი განსაკუთრებულ კანონებს შეიმუშავებს.

„ჩვენ უარს ვყოფთ ყოველგვარ ეროვნულ პრივილეგიებს და ამიტომ სახელმწიფო ენის არსებობასაც უარყოფთ. მთელ სახელმწიფოსი საერთო პარლამენტი თვითონ გაარკვევს, თუ რამდენად საჭიროა რომელიმე ენა ოფიციალურ მიწერ-მოწერისთვის.

„კრება, ავსტრიაში ინტერნაციონალურ სოციალდემოკრატიის წარმომადგენელი, აცხადებს, რომ მისის აზრით ამ საფუძველზე შესაძლებელია სხვა და სხვა ეროვნებათა შეთანხმება სახელმწიფოში.“

„კრება გარკვევით აცხადებს, რომ მისის აზრით ყოველ ეროვნებას აქვს ეროვნულ არსებობის და ეროვნულ განვითარების უფლება. მაგრამ ყოველ ეროვნებას შეუძლია კულტურული განვითარება მხოლოდ სხვა ეროვნებებთან საერთო შრომით და არა ერთმანეთში შუღლით და მტრობით. განსაკუთრებით ყველა ეროვნების მუშა ხალხი ცალკე ერების და მთელ კაცობრიობის კეთილდ ეობის გულისთვის, მტკიცედ უნდა ადგეს საერთაშორისო ერთობას და საერთო ძალით უნდა განაგრძობდეს თავის ბრძოლას, როგორც პოლიტიკურს ისე პროფესიონალურსაც.“

თავის პარტიულ ორგანიზაციაში ავსტრიის სოციალდემოკრატია ახორციელებს ამ გადაწყვეტილებას, 1897 წელს აქეთ ავსტრიის სოციალდემოკრატია წარმოადგენს ექვს ავტონომიურ პარტიის ფედერაციას; საკუთარი სოციალდემოკრატიული პარტიები აქეთ გერმანიელებს, ჩეხებს, პოლონელებს, სლოვენებს, და რუსინებსაც ამის გამო პარტიაში არავითარი ეროვნული შუღლი და მტრობა არ აქვს იმ დროს, როდესაც მთელი ავსტრია საშინელ ეროვნულ ბრძოლის ასპარეზად არის გადაქცეული. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყობს გარემოებამ, რომ აქ პარტიულ შაბლონების გულისთვის სოციალდემოკრატები თვალს აღარ არიდებენ სხვა და სხვა ძირითად ეკონომიურ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომ ახლა იქ პერნეტარფერი უშიშრად აცხადებს: — „მე ვარ გერმანელი და სოციალდემოკრატია“, და ცნობილი დაშინსკი თავის მხრივ ასევე აშკარად ამბობს: „პოლონი ვარ და მასთან სოციალდემოკრატია“. ეროვნული გრძნობის თავისუფალი გამოვლენება შესაძლოდ ხდის ერთმანეთის პატივისცემას. იტალიელი სოციალდემოკრატები ტიროლში თავის ეროვნულ

ინტერესებს უფრო მედგრად იცავენ, ვიდრე აქაური იტალიელი ბურჟუაზია.

ავსტრიის სოციალდემოკრატებმა შეიგნეს, რომ პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება ერთი და იგივე არ არის, რომ ეროვნულ თავისუფლების დასამყარებლად საკმარისი არ არის პოლიტიკურ უფლებობის მოსპობა. ევროპის ერებმა ჩამოიშორეს მეფეების მტარვალობა, ძველ ფეოდალების ძალმომრეობა, მაგრამ ეს არ იკმარეს და მოინდომეს თავისუფალი ეროვნული განვითარება. იქ, სადაც ეს შესაძლო შეიქმნა, ევროპის ერებმა თავისი საკუთარი სახელმწიფოები მოიწყვეს, სადაც საქმის ასეთი გადაწყვეტა ძნელდებოდა, და რომელიმე ერი სხვის ეროვნულ სახელმწიფოს საზღვრებში რჩებოდა, ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ ისე მოეწყოს სახელმწიფო წესწყობილება, რომ სხვა და სხვა ერისაგან ერთმანეთის დაზავება შეუძლებელი ან გაძნელებული გამხდარიყოს.

ზემოთ მოყვანილი ბრიუნის სოციალდემოკრატიულ საპარტოო კრების გადაწყვეტილება ამავე სურვილით არის გამოწვეული. ეს გადაწყვეტილება სასურველად სცნობს სწორედ იმ სახელმწიფო წესწყობილებას, რომელიც ჩვენებურ სოციალდემოკრატების იდეოლოგიებს ბურჟუაზიისაგან გამოგონილ ხალხის დასაზავრელ იარაღად მიჩნეული აქვთ. ავსტრიის სოციალდემოკრატები ცხადად და გარკვევით ასახელებენ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას.

ზოგიერთს ავტონომია სახელმწიფოს დაქსაქსვა ჰგონია და, რაკი მუშა ხალხს, ეროვნების მიუხედავად, ყველგან ერთი და იგივე მოწინააღმდეგე ჰყავს და ამარცხებელი, ამიტომ ასეთი დაქსაქსვა მათ მებრძოლ ძალების დაქსაქსვად მიჩანიათ. მაგრამ ავსტრიის სოციალდემოკრატიის მაგალითი ამნაირ შიშის უსაფუძვლობას გვიმტკიცებს. იქ მთელი მუშათა პარტია ეროვნულ ჯგუფებად დაყოფილია და ეს ეროვნული ჯგუფები ერთად და თანხმობით მოქმედებენ იქ, სადაც საქმის გარემოება ამ საერთო მოქმედებას მოითხოვს.

ავტონომია სრულებით არ ნიშნავს სახელმწიფოს დაქსაქსვას. სახელმწიფო იქსაქსება იქ, სადაც მთლიან პოლიტიკურ ერთეულის მაგიერად შემოდის სხვა და სხვა წვრილმან პოლიტიკურ ერთეულთა ფედერაცია, თუმცა იქაც ამ ერთეულთა დამოუკიდებლობა ხელს არ უშლის არც საერთო ფედერაციის გაძლიერებას და არც ფედერაციის სხვა და სხვა ნაწილში მცხოვრებთა შეკავშირებას საერთო მიზნების მიღწევისათვის.

ზოგიერთს ავტონომია და ფედერაცია ერთი და იგივე ჰგონიათ. ავტონომიური და ფედერატიული წყობილება ერთმანეთს იმითი წაავაგს, რომ ორივეში საერთო მთავრობას გვერდში უდგია ადგილობრივი საკანონდებლო კრებულები. მაგრამ ფედერატიულ სახელმწიფოს შემადგენელი შტატები არა ფედერატიულ სახელმწიფოს ავტონომიურ პროვინციებისაგან მაინც იმდენად განირჩევა, რომ მათი ერთმანეთში შერევა არ შეიძლება. ფედერაციაში ყოველივე შემადგენელ ნაწილს თავისი საკუთარი საკანონდებლო კრებულებითან ერთად ჰყავს თავისი საკუთარი მთავრობაც, რომელიც ცენტრალურ მთავრობისაგან სრული დამოუკიდებელი და თავის მოქმედებაში სრული თავისუფალია. გერმანიაში, მაგ., ყოველ შემადგენელ სახელმწიფოს თავისი დამოუკიდებელი მეფე ჰყავს; შვედეთულ შტატებში ყოველი შტატი საერთო მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებელ გუბერნატორებს ირჩევს. იქ კი, სადაც ავტონომიური წყობილება არის შემოღებული, როგორც, მაგ., ავ-

სტრის პროვინციებში, ადგილობრივ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი დამოუკიდებელი არ არის და საერთო მთავრობისაგან ინიშნება. მეორე განსხვავება ის არის, რომ ფედერაციაში ადგილობრივი საკანონდებლო კრებული ახალ კანონებს სცემს თვითონ, საერთო მთავრობის დაუკითხავად. ბავარიაში, მაგ., ადგილობრივი საკანონდებლო კრებული სრული დამოუკიდებელია გერმანიის საერთო მთავრობისაგან, ავსტრიის ავტონომიურ პროვინციებში კი ვერ ერთი, ადგილობრივ საკანონდებლო კრებულისაგან შემუშავებული კანონი, ძალაში ვერ შევა, თუ ავსტრიის საერთო მთავრობი უმაღლესი წარმომადგენელი ამ კანონის გამოცემაზე თავის თანხმობას არ განაცხადებს. ავსტრიაში საერთო კანონების გამოსაცემად საჭიროა საერთო პარლამენტის და იმპერატორის თანხმობა, ადგილობრივ კანონებისთვის კი ადგილობრივ ავტონომიურ პარლამენტის და იმავე იმპერატორის თანხმობა. ამნაირად, ავტონომია სახელმწიფოს დაქსაქსვას არ ნიშნავს, — იგი მხოლოდ საკანონდებლო საქმეში ამყარებს დეცენტრალიზაციას, თვითმართველობას.

ასეთ დიდ სახელმწიფოში, როგორც არის რუსეთი, საკანონდებლო საქმის ცენტრალისტულად მოწყობა და სახელმწიფოს ყველა კუთხისათვის საჭირო კანონების ერთ საერთო საკანონდებლო კრებულში შემუშავება რუსეთის პარლამენტის წესიერ მოქმედებას გაუძნელებდა. მართლაც, ყველა კუთხის ადგილობრივი საჭიროება, თუ ამ საერთო პარლამენტის გასარკვევი შეიქმნა, პარლამენტი მათს დროზე გადაწყვეტს ვერ მოახერხებდა, ცენტრალისტურ მთავრობას არ შეუძლია რუსეთის ყველა კუთხეში ჯეროვანად თვალყური ადევნოს თავის ხელქვეითთა მოქმედებას და პარლამენტიც ვერ შესძლებს ყოველ ბოროტმოქმედებისათვის პასუხი ამ ცენტრალისტურ მთავრობის წარმომადგენლებს მოაკითხოს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა დეცენტრალიზაცია, როგორც მართვა-გამგეობის საქმეში, ისე კანონდებლობაშიც. მაგრამ, დეცენტრალიზაციის დროს რომელ ერთეულს უნდა მიენიჭოს საკანონდებლო თვითმართველობა, რა პრინციპი უნდა დაედოს სარჩულად სახელმწიფოს ავტონომიურ ერთეულებად დანაწილებას. იქნება ეს პრინციპი გეოგრაფიული, ესე იგი რუსეთის სხვა და სხვა კუთხეს მიენიჭება ავტონომია იმისდამოკიდებულად, თუ ვინ არის ამა თუ იმ ნაწილში დასახლებული, თუ ეს დაყოფა ეროვნებათა მიხედვით მოხდება. ყოველ სახელმწიფოს ტერიტორია საჭიროა და ამიტომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციას ადვილი ტერიტორია ექმნება. მაგრამ იმისთვის, რომ მოიხპოს ეროვნული განხეთქილება, სახელმწიფოს ყოველი ნაწილი, ცალკე ეროვნებით დასახლებული, ავტონომიურ ნაწილად უნდა იყოს გამოცხადებული. პარლამენტში ყოველ ეროვნების წარმომადგენელი თავის დედა ენაზე ილაპარაკებს, და სასაცილო იქნებოდა ერთ ავტონომიურ საზღვრებში მოთავსება სხვა და სხვა ეროვნების მხოლოდ იმეტომ, რომ დღეს, დღევანდელ სახელმწიფოში, რუსეთის რომელიმე ნაწილი სწორედ ამ საზღვრებში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენს. მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია შესაძლოდ ხდის ეროვნულ განხეთქილების მოსპობას, რადგანაც მაშინ ყოველი ეროვნება თვითონ განაგებს თავის ეროვნულ საქმეებს და ვერც ერთი ვერ მოახერხებს ძალით სხვების გადაგვარებას.

ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის მომხრედ სოციალიზმიც უნდა შეიქმნეს, რადგანაც სოციალიზმი ყოველთვის

სცდილობდა კაცობრიობის განვითარებას. სოციალიზმს მიზნად არასოდეს არ დაუსახავს ხალხის გაძლიერება, მშვიდ პირუტყვების მავიერად მძღარ პირუტყვების შექმნა, მას უნდა, რომ ყოველი ადამიანი იყოს შეგნებული და თავისუფალი და, რაკ კაცობრიობა მხოლოდ ეროვნებაში ცხოვრობს, ამიტომ სოციალიზმი ძალაუვნებურად უნდა ცდილობდეს რომ ყოველი ეროვნება იყოს შეგნებული და თავისუფალი. სოციალიზმი სრულებით არ ოცნებობს ყველა ეროვნების მოსპობაზე და მთელ დედა მიწაზე ერთ რომელიმე საერთო ენის შემოღებაზე. იგი ხედავს, რომ ჩვენი დრო ეროვნულ გამოუზიზღების დრო არის, რომ ესლა თვით პატარა ეროვნებასაც უნდა შეიარჩინოს დამოუკიდებლობა და არსებობა. ახლა ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც არ უნდა ბარბაროსის სახელი დაიმსახუროს, ხალხს ვერ ურჩევს ეროვნულ ლტოლვილებზე ხელის აღებას და ბრძოლას მხოლოდ ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მძღარი კუჭი ადამიანის სახედნიეროდ არ კმარა. ცხოვრების ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება მხოლოდ საშუალებაა, რომელიც შესაძლოდ ხდის და ადვილებს ხალხის ყოველ მხრივ კულტურულ განვითარებას და, რომ ეს განვითარება შესაძლო შეიქმნეს, საჭიროა მოიხპოს ყოველივე დაჩაგვრა, როგორც ეკონომიური და პოლიტიკური, ისე ეროვნული დაჩაგვრაც.

ამ ეროვნული დაჩაგვრის მოსაშობად ერთად ერთი საშუალებაა სახელმწიფოს წესწყობილების გამოცვლა ისე, რომ ამა თუ იმ ეროვნებით დასახლებულ ყოველივე ტერიტორიის მიენიჭოს ავტონომია.

ი. გო — ლადე.

მრისტის ჯეპრსმისა და ალფრედის სემანი

(ერნესტ რენანის გამოკვლევით*)

ძალზე დაღამებული იყო, როცა იესო თავის მოწაფეებით განვიდა მთას მას ზეთის-ხილთასა და შევიდა ადგილსა, რომელსა ჰრქვიან გეტსამანია. იესომ იწყო „მწუხარებად და ურვად“; „დავარდა პირსა ზედა თვისსა და ილოცვიდა“. მის მეგობრებს მის გვერდით ეძინათ. უეცრად შოვიდა ერი მრავალი მიხვილებითა და წათებითა; მოუხდეს და ითხნეს ხელნი მათნი იესოს ზედა და შეიპყრეს იგი. ერთმა ათთორმეტ მოწაფეთა და მეგობართანა იულამ გასცა იესო მეგობრებმა — მოწაფეებმა — თუდაპირველად მოინდომეს იესოს დაცვა და წინააღმდეგობის გაწევაკ კი განიზრახეს, მაგრამ ამა რას იხამდა ორიოდე უიარაღო, მშვიდი და წყნარი კაცი შეიარაღებულ ჯარის კაცებთან! იესო კარგად გრძობდა მათ სისუსტეს და თვითონვე შეაჩერა მათი პირველი სურვილი წინააღმდეგობის და დანება ჯარის კაცებს. მაშინ „მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს. ხოლო მარტო პეტრე და იოვანე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღვდელთ მთავრისა.“

იესოს ბრალდებოდა ღეთის გმობა. ეს დანაშაული კი სიკვდილით ისჯებოდა, — ღეთის მგმობელი ჩაქვავებული უნდა ყოფილიყო. გამოქნილმა მღვდელთ მთავარებმა ცრუ მოწმებრიც იშოვეს. მათ განაცხადეს, იესომ თავი ძედ ღეთისად აღიარა და სქევაო: „ძალა მიძს დარღვევად ტაძარი ესე ღმერთისა და მესამესა დღესა აღშენებად“, ხოლო ტაძრის დაგმობა, ებრაელთა კანონის მიხედვით, გმობას ნიშნავდა. დანაშაული

*) Cie de Jesus, éd. Levy 1895 წ. გვ. 405 — 2175. Ues Apôtres, éd Levy 1894 წ. გვ. 1 — 44.

დამტკიცებული იყო, თავის დაცვა მეტი იყო. სიმტკიცე და სიმართლე იესოსი ყოველ ექვს გარეშეა. ის შეზღვედა სიკვდილს გმირულად, სრულის სიმშვიდით, მამაცურად. ამიტომაც კათაქა მღვდელ-მთავრის განკითხვას პასუხიც არ აღირსა, — იგი სდუმდა. ღუმელი იყო მისი გადაწყვეტილი, დიდებულის ამაყოებით აღსავეს პასუხი. სიკვდილი გადაწყვეტილი იყო მისთვის წინდა წინვე, მხოლოდ რომაელების წარმომადგენელს პონტოელ-პილატე მთავარს უნდა მოეწერა ხელი ამ გარდაწყვეტილებას. პილატე, როგორც იმ დროინდელი რომაელი, სკვპტიკი იყო და სარწმუნოებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ამიტომაც სინედრიონის გარდაწყვეტილებას უგულოდ მოეციდა. მაგრამ, მღვდელთ მთავრებს, დიდი ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდათ იესოს თავიდან მოშორება და აქაც ხერხი იხმარეს, პილატეს იესო წარუდგინეს, არა როგორც მარტო ღვთის მგმობელი, არამედ როგორც პოლიტიკური დამნაშავე. მან თავი თავისი აღიარა „მეუფედ ურიათაო“, ხოლო, რადგან ურიათა მეუფე მარტო ერთი რომის იმპერატორიაო, ამნაირის თქმით შეურაცხველი თვით რომის იმპერატორიაო. ამ ცილისწამებამ, რასაკვირველია, უფრო დიდი გავლენა იქონია მოხელე პილატეზე. მას შიში მიეცა, ვაი თუ გააფთრებულია მღვდელ-მთავრებმა იმპერატორთან მიივლანო, და დასთანხმდა სინედრიონის გარდაწყვეტილებს ს ქრისტეს ჯვარცმაზე, თუმცა ხელი დაიბანა და განუცხადა, — უბრალო ვარ სისხლისაგან მაგისიაო.

გააფთრებულმა ბრბომ, ზნე-დაცემულ მღვდელ მთავრების გარყვნილმა ამაღამ სიკვდილით დასჯა როდი აკმარეს იესოს, არამედ შეურაცხვეს და შელახეს კიდევ იგი. მას მოექცნენ, როგორც ექცეოდნენ აბრაგებს, ყაჩაღებს, ავაზაკებს და ისეთ დამნაშავეებს, რომელთათვის ხმლით თავის მოკვეთა უღირს ჯილდოდ ითვლებოდა: „ნერწყვიდეს პირსა მისსა, და სუბითა სცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყვრი-მალსა სცემდეს; განსძარცვეს იგი, და ქლამინდი მწაშული შემოსეს მას; და შესთხზეს გვირგვინი ეკლთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯვენასა ხელსა და მუხლი დაიდგნეს მის წინაშე, უმღერდეს მას და ეტყოდეს: „გიხაროდნენ, მეუფე ურიათაო“. თვით ჯვარ-ცმაც ისეთი სასჯელი იყო, რომელსაც მარტო ავაზაკებს მიუსჯიდნენ ხოლმე.

შუაღლე იყო. იესოსთან ერთად წაიყვანეს ორი ავაზაკი ჯვარსაცმელად. ჯვარცმით დასჯილს ეკუთვნოდა თავის ჯვარის წაღება. იესოს ჯვარი წაღებინეს, მაგრამ იგი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ავაზაკები და ვერ ზიდა ტვირთი. გზაში შეხვდათ სვიმონ კვირინელი და მას წააღებინეს იესოს ჯვარი.

ჯვარცმის წინაღ იესოს შეაძლიეს „ძმარი“ ნაღვლითა აღზავებული“. ამგვარ სასმელს აძლევდნენ ჯვარცმის წინაღ სიბრალულის გამო. ხშირად ქალებს მოჰქონდათ ამგვარი სასმელი და აძლევდნენ დასასჯელებს. ეს სასმელი აბრუებდა კაცს და ვითომ უადვილებდა ტანჯვას. მაგრამ იესომ „გემორა იხილა, არა უნდა მისი“. მის დიდებულ ბუნებას არა სჭირდა ეგრეთი უბრალო მამაკვდავთათვის გამოგონილი წამალი. მან არჩია სიკვდილს საღის გონებით შეხვედროდა, და სრულის სიმშვიდითა ელოდა აღსასრულს. იესოს გააშვრეს სამოსელი და მიაკრეს ჯვარზე, რომელიც შესდგებოდა ორის ბოძისაგან. ჯვარი დაბალი იყო, ასე რომ ჯვარცმულის ფეხები მიწას ეხებოდნენ. ჯერ დასდგამდნენ ხოლმე ჯვარს, მერე ლურსმით მიაკრავდნენ ხოლმე ტანჯულის ხელებს. ფეხებსაც დალურსმავდნენ, ხანდისხან ფეხებს ზაწრით მიაკრავდნენ ბოძს.

იესომ განიცადა თვით უსასტიკესი ფორმა ამ სატანჯველისა. მის თვალის წინ განიყვეს სამოსელი მისი და განიღდეს წილი, იესოს მთელი არსება ააღლევა ასეთმა ცინიზმმა, მაგრამ მისმა მშვიდმა და ნაზმა არსებამ მარტო ესა სთქვა: „მამაო, მიუტევე იმათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან.“

მოწაფენი გაიქცნენ. ამბობენ, ვითომ იოანე დარჩენილიყოს ჯვართან. ნამდვილია მხოლოდ, რომ მეგობარ ქალებს „რომელნი შეუდგეს იესოს და მსახურებდეს მას“, არ დაუტოვებიათ იესო, — იგინი „შორით ხედვიდეს მას.“ ესენი იყვნენ მარიამ მაგდალინელი, მარიამ კლეობაია, სალომე და სხვ. საექვთა, რომ იესოს დედა იქ ყოფილიყოს.

ამ ქალთა მწუხარე, სევდიანი და თანამგრძობის სახის გარდა იესო არას ხედავდა კეთილს. კაცის პირუტყვობა, მისი სულის სიმდაბლე, მისი ზნეობრივი სიღატაკე ფართოდ იშლენა იესოს თვალის წინ, — გულის ამრცევი ოხუნჯობა ესმოდა; ხალხი, რომლისთვისაც მან თავი დასდო, მის დიდებულ სულიერ ტანჯვა უმადურად დასცინოდა. ერთ წუთს იესოს სული შეუშფოთდა, სასოწარკვეთილებას მიეცა, რაიც მისთვის უფრო მტანჯველი იყო, ვიდრე სხვა ათაგვარი წამება. ერთი წუთით მას თვალთაგან მიემალა მისი ღვთაება, მისი იდეალი. მარტო ადამიანთა უმადურობას ხედავდა; იქნებ კიდევაც შეინანა, რომ ასეთ საზიზღარ ერისაჲვის მიიღო ამდენი ტანჯვა და ხმა ჰყო ხმითა დიდითა და სთქვა: „ღმერთო, ღმერთო რასთვის დამიტევე!“ მაგრამ მისმა ღვთაებრივმა გონიერებამ სძლია. რამდენადაც სიცოცხლე ჰქრებოდა მის ტანჯულ სხეულში, იმდენად სული ძალას იკრებდა და მღვდლებოდა; მან იგრძნო, რომ მისი სიკვდილი ქვეყნის დამსხნელია და მამინ ურია აღარ ათხოვა იმ გულის ამრევე საზიზღრობას, რომელიც მის თვალ წინ იშლებოდა.

განსაკუთრებული წამება ჯვარცმულთათვის ის იყო, რომ სამ ოთხ დღეს შეეძლოთ ეცოცხლათ. ჯანსაღ ჯვარცმულთ კიდევაც ეძინათ ხოლმე ჯვარზე და მარტო სიმშვილი ჰკლავდა მათ ამ წამების აზრი ის კი არ იყო, რომ მალე მავსო სიცოცხლე ტინჯულთათვის, — პირიქით, ჯვარცმული სამარცხინო ბოძზე მიკრულად ითვლებოდა და ზედ უნდა ჩამოშალიყო. ნაზმა სხეულმა იხსნა იესო ხანგრძლივის ტანჯვისან. ნაშუადღევს სამი საათი იყო, რომ იესომ სული განუტევა. ეს იყო პარასკევს შ აპრილს შ შ წელს.

შაბათი პასქის დღესასწაული იყო და ურიათ არა სურდათ ჯვარცმულები ჯვარზედ დაეტოვებიათ, „რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისა“ და არ უნდოდათ დღესასწაული ამ გვარის სანახაობით შეებღალათ. ამიტომ სთხოვეს მთავრობას, რათა წვიენი მათნი განუტეხნენ და გარდათხენენ“. ეს სასჯელი ეკუთვნოდა მონებსა და ტყვეებსა. მთავრობამ ბრძანება გასცა და კარის კაცებმა აღასრულეს ორი ავაზაკის შესახებ ეს წამება, ხოლო „მორავიდეს იესოსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკვდარ-იყო, არა განუტეხეს წვიენი მისნი, არამედ ერთმან ლახვრითა უგმირა გვერდსა მისსა და გარდამოხდა სისხლი და წყალი.“ ეს მიიღეს იმას უტყუარ ნიშნად, რომ იესო მკვდარი იყო. მღვდელთ-მთავარნი და ყველა ამ განკითხვის მეთაურნი გაკვირვებულნი იყვნენ, ასეთის უეცარის სიკვდილით, — ჯვარცმულნი რამდენსამე დღეს სძლებდნენ ხშირად ჯვარიდან გარდამოხსნილი მოუღჩენიათ ექიმობით, აქ კი იესოს ასე უეცრად მოესპო სიცოცხლე. რასაკვირველია, იგინი ცდილობდნენ იესოს სიკვდილში უეჭველად ლარწმუნებულებიყვნენ და ამისთვის ყოველივე ზომები იყო მიღებული.

ურიათა ჩვეულების მიხედვით, იესოს გვამი უნდა დაეფლათ სამარცხენო ადგილს, — იქ, სადაც ასაფლავებდნენ ამგვარ დასჯილებს (ქურდს, ავაზაკებს, ყაჩაღებს და აბრაგებს). იესოს მის ღარიბ მოწაფეთა მეტი რომ არავინ ჰყოლოდა მომხრე, მას მართლა ისეთ ადგილს დაასაფლავებდნენ. მაგრამ იესოს მნიშვნელოვანი პირნიც თანაუგრძობდნენ. ამიტომაც ერთმა მათგანმა, იოსებმა, „რომელი იყო არიმათიათით,“ სიქეა პილატეს, „რათა აღიღოს გვამი იესო'ი.“ იოსები მდიდარი და პატივცემული კაცი იყო და წვერი სინედრიონისა. რომელითა კანონით, ჯვარცმულის გვამი იმას მიეცეოდა, ვინც კი ითხოვდა. პილატემ უბრძანა, აღესრულებიათ იოსების თხოვნა ამ წრიდან მეორე ფარულ თაყვანისმცემელმაც გაუწია მეგობრობა იესოს „მოვიდა ნიკოდიმოსცა და... ამოიღეს გვამი იესოსი, და შეჰკრავნეს იგი ტილოებითა სუნუნელთა მათ-თანა.“ ექვი არ არის, „იყენეს მუნ ღედანიცა მრავალნი, რომელი შეუდგეს იესოს. გალილიათ,“ რომელნიც ჩვეულებისამებრ მოსთქვამდნენ და სტიროდნენ ხმა-მალღად. იესოს მოწაფენი სჯულის კანონს ასრულებდნენ შეურყევლად. რათა გვამი დაუსაფლავებელი არ დარჩენილიყო, საჩქაროდ მოსძებნეს ადგილი იოსებ „დასდვა იგი ახალსა მისსა საზღვარსა, რომელი გამოკვეთა კლდისაგან და მიავარჯა ლოდი დიდი კარსა მის საფლავისასა.“

მეორე დღე შაბათი იყო, — ყველა უქმობდა.

კვირას განთიადზე საფლავის სანახავად მოვიდნენ ის ქალები, რომელთაც პარასკევს საჩქაროდ მიიბარეს მიწას იესო. ესენი იყვნენ ზარიამ მაგდალინელი, მარიამ კნეოპასი, სალომე და სხვანი. ესენი ერთად არ მოსულან, — ცალკე-ცალკე მოდიოდნენ. ამ დიდებულ წუთებში პირველი როლი მარტო მარიამ მაგდალინელს ეკუთვნოდა. იმას უნდა ვადევნოთ თვალყური, ვინაიდან ამ ერთის საათის განმავლობაში მთელის ქრისტიანობის გული და სული მისის სახით მუშაობდა. მისმა მოწმობამ გადასწყვიტა მომავალი სარწმუნოებისა.

პარასკევს, როგორც მოვიხსენიეთ, იესო დაასაფლავეს და მიავარჯევს „ლოდი დიდი კარსა მის საფლავისას,“ ხოლო, როცა კვირას მარიამ მაგდალინელი მივიდა, „იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა. და არა ჰპოვა გვამი მისი.“ აღდგომის შესახებ აზრს ჯერ არ გაუვლია მარიამ მაგდალინელის თავში. მხოლოდ ერთის სურვილით იყო ავსებული მისი არსება, — მას სწაღდა თავის ღვთიურ მეგობარის გვამისთვის შესაფერი პატრონობა გაეწია. ამიტომაც თავდა პირველად, როცა ძვირფასი გვამი ვეღარ იხილა. „შემქრუნებულ და დაკვირვებულ იყო.“ ამ შემთხვევაში მოესპო მას ერთად ერთი იმედი და ნუგეში, — მას აღარ შეეძლო შეხებოდა ძვირფასს მოძღვარს. პირველად უცნაურმა ფიქრმა მოიცვა მარიამ მაგდალინელი: ვაი, თუ გვამი შეურაცხვეს, ამოიღეს და სადმე უღირს ადგილს გადაადგესო. შესაძლოა, იმედის სხივაც გაუელვა თავში, საჩქაროდ გაიქცა და მივიდა პეტრესთან, საცა იოანეც იყო, და უთხრა მათ. „აღიღეს უფალი საფლავისაგან და არ ვუწყვი, სადა დასდევს იგი“. იოანე და პეტრე წავიდნენ. დაათვალიერეს იესოს საფლავი და დარწმუნდნენ, რომ შიგ გვამი მართლა არ იყო. იხილეს მხოლოდ „ტილონი იგი მღებარენი და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა, არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვისგან შეეკტილი ერთსა ადგილსა. პეტრე და იოანე გამოვიდეს მიერ საფლავის შიშითა დიდითა.“ ისინი შემოთავაზებულნი დაფიქრებულნი იყვნენ-ჯერ მათი ბაგე ვერა ბედავდა წარმოეთქვა: „მკვდრეთით აღსდგაო“, მაგრამ ეს აზრი მათ თავში იბადებოდა და იზრდებო-

და. ქრისტიანობის უმთავრესს რწმენას ამ წუთებში დაედგა საძირკველი.

პეტრე და იოანე წავიდნენ, ხოლო მარიამ სდგა გარეშე საფლავსა მის-თანა“ და მწარედ სტიროდა. ერთად ერთი ფიქრი აწუხებდა მას: „აღიღეს უფალი საფლავისაგან და არ ვუწყვი, სად დასდევს იგი“. მისი გული დედა-კაცისა მარტო ერთის სურვილით იყო შეპყრობილი, სწყუროდა კიდევ ერთხელ შეხებოდა ძვირფას გვამს. უეცრად რაღაცამ გაიშრიალა, მარიამმა ვიღაც კაცი დაინახა ფეხზე დამდგარი. მას ეგონა, ვითარმედ მემცილე იგი იყო და სქვა მას: „უფალო! უკეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ და მე წარმოვილო იგი“ ჰასუხდა მარტო ერთი სიტყვა მოესმა, მან გაიგონა თავისი სახელი: „მარიამ!“ ეს ის ხმა იყო, რომელსაც არა ერთხელ აუკანკალიებია მაგდალინელი, ეს იესოს ხმა იყო. „ოჰ, ჩემო მოძღვარო!“ დაიყვირა სიხარულით მან და მიბოდა შემთხვევად მისა, უნდოდა იესოს ფეხებს შევერდომოდა და ამბორი ეყო. მაგრამ ჰაეროვანი ჩვენება მარიამს გაურბის და ეუბნება „ნუ შემომხებები მე!“

აწ აღსრულდა სასწაული სიყვარულისა. მაგდალინელის სიყვარულით აღზნებულმა გულმა ცალიერს საფლავში სიკაცხლე აღმოაჩინა, ცალიერს საფლავს გამოაცემია ხმა ნახი და შვილი, საწუგეშო და დამამშვიდებელი... იესოს შემდეგ მაგდალინელს მიუძღვის უდიდესი დეაწლი ქრისტიანობის დამყარებაში. მაგდალინელის ნახმა გრძობამ შეჰქმნა რწმენა, რომელიც დღესაც გავრცელებულია ქვეყნიერებაზე. მაგდალინელმა თავისი ოცნება სინამდვილედ გარდაჰქმნა, ვნებათა-ღელვით აღსავსე სულის ჩვენებას ხორცი შესახა. მისი დიდებული დასტური ქალისა: „აღსდგა უფალი“ კაცობრიობის სარწმუნოების საფუძველი შეიქმნა. გზა მიეცი აპას, უძლურო გინებავ, ნუ იხმარ შენს ცივსა და მყრალ ანალიზს ამ იდეილიზმისა და სიყვარულის მიერ შექმნილ დიად ქმნილების დასახსნერვეად. თუ გონებას არ ძალუძს ანუგეშოს ტანჯული კაცობრიობა, აღტაცებულმა ოცნებამ სცადოს ბედი...

მაგრამ ჩამოვეუვათ ფარდა ამ საიდუმლოების წინაშე... აღგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით აღვნიშნოთ ყველა ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია რწმენა „მკვდრეთით აღდგომისა.“ იესო აღადგინა სიყვარულმა. იმ ძლიერ სიყვარულისათვის. რომლის საგანიც იესო იყო, სულ უბრალო შემთხვევა კმაროდა, რომ აღეშენებია ტაძარი მსოფლიო სარწმუნოებისა. იესო რომ ასეთის უსაზღვრო სიყვარულს საგანი არ ყოფილიყო, ესა თუ ის მოვლენა, ესა თუ ის შემთხვევა ვერას გააწყობდა და რწმენას ვერ შეჰქმნიდა.

იესო დასჯილი იქმნა „როგორც სხელმწიფო დამნაშავე“. ასეთი სასწაულებრივი რწმენა შეეფერება კიდევ იესოს დიდებულ არსებას. ეს დიდებული ადამიანი სწორეთ ღვთის კაცი იყო იმიტომ კი არა, რომ განკაცებული ღმერთი ყოფილიყო, არამედ იმიტომ, რომ კაცობრიობას დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა ღვთაებისაკენ — უპაღლესის იდეალისაკენ. დიდი უმეტესობა ადამიანთა კრებულისა შესდგება დაცემულ, მარტო თავის თავის მოყვარე არსებათაგან, რომელნიც თავის ცხოვრებით პირუტყვეებს უფრო უახლოვდებიან. მაგრამ კაცობრიობაში დრო გამოშვებით ჩნდებიან დიდ ბუნოვანი ადამიანები, რომელნიც თავის სიღალით ცას უახლოვდებიან და კაცის დიდებულ დანიშნულებას გვაგებინებენ. ამგვარ დიდთა შორის იესო ყველაზე უფრო დიდი და მაღალია, — მასში თავმოყრილია ყოველივე კეთილი და ამაღლებული, რომელიც

კი შეადგენს ადამიანის ბუნების თვისებას. თავისდღეში ადამიანს არ მოუცია ასეთი უპირატესობა კაცობრიობის საზოგადო ინტერესის სამსახურისთვის, თავისდღეში არავის არ დაუვიწყებია ყოველ-დღიური ზრუნვა და ვარამი საზოგადო აზრისათვის, როგორც იესოს. იგი ისე გატაცებული იყო თავის აზრით, ყველაფერი იქნენად დაუმორჩილა ამ აზრს, რომ ქვეყანა მ სთვის აღარ არსებობდა, არ ყოფილა ადამიანი, შეიძლება საკიამუნის გარდა, რომელსაც მასავით გაეთელოს ამ ქვეყნიური სიყვარული და ყოველივე წუთიერი მისი იდეალის წინაშე. მისი მთელი სიცოცხლე შეწირული ჰქონდა მის მამას, რომლის სჯულის აღსასრულებლადაც ის იყო მოვლენილი, როგორც თვით მასა სწმინდა.

მოვიდრიკოთ მუხლი იესოს წინაშე. ამგვარ კაცებს შეუძლიათ ის, რაც უბრალო მოპაკედათა ხელთ არ არის: მათ შეუძლიათ შექმნან სარწმუნოება, შეუძლიათ დაბეჯითებით იქადაგონ ეს რწმენა, შეუძლიათ დაუღალავად იშრომონ და თავი შესწირონ ამ რწმენის განსახორციელებლად. იესოს წაცილება ამ შესახვევაში შეუძლებელია. მისი ლეგენდა ყოველთვის ცრემლებს გამოიწვევს, მისი ტანჯვა ყოველ საუკეთესო ადამიანის გულს სევდით აღაფხვს, მისი ცხოვრების მაგალითი ყველას იმედსა და სასოებას აძლევს... კ. ა.

ნაფიცი მსაჯულთა სამართალი

I

ვისაც დღევანდელ მრავალ რაცხოვან პარტიათა პროგრამები გადაუთვალისწინებია, ადვილად დაინახავდა, რომ თითქმის ყველაში მოთავსებულია ნაფიცი მსაჯულთა სამართლის მოთხოვნა. თითქმის-თქო, ვამბობთ, რადგან არის ისეთი პარტიებიც, რომელნიც უარს ამბობენ ასეთ სამართალზე; მაგალითად, ანარქისტები სრულებით უარ ყოფენ ყოველ ნაირ სამართალს და, მაშასადამე, ნაფიცი მსაჯულებსაც, ხოლო რევოლუციონერები უარს არიან, რაიმე მონაწილეობა მისცენ ხალხს მისი ცხოვრების მოწყობა — მართვაში და წინააღმდეგნი არიან ნაფიცი მსაჯულთა სამართლისა სწორედ იმ მიზეზით, რომ ეს სამართალი იგივე ხალხის სამართალია. ამ ორ უპარტისებურ და უმარჯვენეს პარტიათა გარდა კი ყველა დანარჩენ პარტიებს ერთ-ერთ უმთავრეს მუხლად შეტანილი აქვთ თავიანთ პროგრამებში ნაფიცი მსაჯულთა სამართლის მოთხოვნა.

ამრიგად, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანარქისტები სრულებით უარყოფენ ყოველნაირ სამართალს, ხოლო რევოლუციონერები აღიარებენ უსამართლო სამართალს და ამ ორ უკიდურესს, ერთი მეორის სრულებით წინააღმდეგ პარტიას ანგარიშში არ ჩავთვლით, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყველა პარტიეზი ერთხმად თხოულობენ ნაფიცი მსაჯულთა სამართლის შემოღებას.

ასეთი ერთობა და თანხმობა პარტიათა შორის ამ საგნის შესახებ, ადვილი მისახვედრია, უნდა მოწმობდეს ასეთის სამართლის უკეთესობას განსამართლებების სხვა ფორმასთან შედარებით.

რაში გამოიხატება ეს უკეთესობა, რითი სჯობია ნაფიცი მსაჯული მთავრობისაგან დანიშნულს მოსამართლეს? ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავანახოთ მკითხველს, რაშია ცამოიხატება ეს უმჯობესობა.

როგორც ყველამ იცის, მოქალაქის მოქმედების ყოველივე მხარე ექვემდებარება რაიმე კანონს. ვინც უნდა ვიყუფე, ხელოსანი თუ ვაჭარი, მოხელე თუ თავისუფალი პროფესიის კაცი, ყოველივე ჩემი მოქმედება უნდა დაეუმორჩილო ამ თუ იმ კანონს; კანონითვე განისაზღვრება მოქალაქეთა შორის ყველანაირი დამოკიდებულება. ასეთია სახელმწიფო ძირითადი მოთხოვნილება. ადვილი მისახვედრია, რომ, თუ მოქალაქეთა ყოველივე მოქმედება და მათ შორის ყოველნაირი დამოკიდებულება სხვა-და-სხვა კანონით განისაზღვრება, კანონებსაც ისეთივე სხვა და სხვაობა უნდა ეტყობოდეს როგორც ცალკე პირთა დამოკიდებულებას. ზოგი კანონი განსაზღვრავს მოქალაქეთა ურთიერთობას შესახებ ქონებისა, ზოგი — მათ-მფლობელობის უფლებას, ზოგი — ვაჭრობას და სხვ. და სხვ. აი ამ კანონთა შორის არის ერთი ჯგუფი კანონებისა, რომელიც შეეხება საზოგადო მშვიდობიანობას, ამ მშვიდობიანობის დასაცველად ზღუდავს ცალკე პირების მოქმედების თავისუფლებას და სჯის იმას, ვინც ამ კანონს არღვევს და არ ემორჩილება. ეს არის ესრედ წოდებული სისხლის სამართლის კანონები ანუ, უფრო მოკლედ, სისხლის სამართალი.

თუმცა მოქალაქის ყოველივე მოქმედება რაიმე კანონს ემორჩილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა მეტი ნაწილი თავის კეძო ცხოვრებაში ისე იქცევა და ისე მოქმედობს, რომ არც კი ახსოვს, არსებობს რაჟე კანონი ან სამართალი თუ არა. მართებული და კანონიერი ქცევა მეტს ნაწილს ბუნებრივად მოსდევს და თუ ხანდახან ზოგი ვინმე შემცდარია თანამოქალაქის წინაშე, ეს უკანასკნელი მეტ ნაწილად ადვილად აპატიებს ხოლმე მას მის უმნიშვნელო შეცდომას და არც ერთ მათგანს არ ახსენდება არც კანონი და არც სამართალი. მაგრამ მოხდება ისე, რომ ერთის დანაშაული და მეორის ზარალი იმდენად დიდია, რომ დაზარალებული ვეღარ თმობს დანაშაულს და მიმართავს სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა აღადგინოს კანონიერება. აი მხოლოდ ამ დროს და სასამართლოში ახსენდება ამათ და აგრეთვე ყველას, ვისაც რაიმე ინტერესი აქვს ამათ ურთიერთობასთან, რომ არსებობს კანონი, რომ საჭიროა მისი აღდგენა და მასთან — სამართლიანი აღდგენა.

ზარალის აღსადგენად მოქალაქემ ზოგჯერ თითონ უნდა მიმართოს სასამართლოს, ე. ი. უნდა იჩილოს, უამისოდ არავინ ხმს არ გასცემს და მისი ზარალის აღდგენას ყურსაც არ ათხოვებს, — ხოლო ზოგს შემთხვევაში, მიუხედავად ამისა, იჩილებს დაზარალებული თუ არა, მოიწადინებს თავისი ზარალი დამნაშავეს აზღვევინოს თუ არა, სახელმწიფო მინც თითონ ერევა საქმეში და დამნაშავეს ძალდატანებით ასამართლებს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვინმე არღვევს სისხლის სამართლის რომელსამე კანონს.

აქ ძალა-უნებურად გველობება საკითხი, რითი განირჩევა ეს სისხლის სამართლის კანონი სხვა კანონებისაგან და რად არის, რომ მაშინ როდესაც ერთს შემთხვევაში სახელმწიფო თითონ ადევნებს თვალს კანონის აღსრულებას, თითონ იწვევს სასამართლოში დამნაშავეს, მეორეში იგივე სახელმწიფო მხოლოდ დახმარებას უწევს კეძო მოქალაქეს, ხოლო საქმის დაწყების და მის გაძღოლის სრულს თავისუფლებას უტოვებს მასვე. მეცნიერებაში ჯერაც არ არის საბოლოოდ განსაზღვრული სისხლის სამართალი სამოქალაქო სამართლისაგან, ამიტომ წინდაწინვე ვამბობთ, რომ ის განმა-

სხვაგვარი ნიშანი, რომელსაც ჩვენ დავისახელებთ, არ არის სავსებით მეცნიერული, მაგრამ სრულებით საქმ.რისია ჩვენის საგნისათვის. ეს განსხვავება იმაშია, რომ სამოქალაქო კანონი შეეხება კერძო ინტერესს, ერთის ან რამოდენიმე მოქალაქის კერძო უფლებას, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კანონი იცავს მთელის საზოგადოების, ყველა მოქალაქის უფლებას. მაგალითად, ვალის გაუსტუმრებლობა შეადგენს მვეალის საზრუნველ საგანს და სახელმწიფო მხოლოდ მაშინ მიაშველებს თავის მოსამართლეს, როდესაც თითონ მვეალე მიმართავს სასამართლოს დახმარებისათვის, ხოლო ქურდსა და კაცის მკვლელს კი თითონ სახელმწიფო სდევნის და გაუსამართლებელს არას გვით არ დასტოვებს, რადგან ესენი თავიანთ უკანონო მოქმედებით, მართალია, ვნებენ ცალკე პირთ, მაგრამ ამ ვნებასა და ზარალს გარდა მათ მოქმედებაში გამოიხატვის აგრეთვე მუქარა საზოგადოების მშვიდობიანობის მიმართ, რა თქმა უნდა, რომ კერძო პირის ინტერესის დაცვა მეტად საქირა საზოგადოებისათვის, რათა ყველა დარწმუნებული იყოს, რომ მისი ქონებრივი კეთილდღეობა უზრუნველყოფილია, მაგრამ უფრო საქირაა დაცვა საზოგადო კეთილდღეობისა, საზოგადო ინტერესისა და ამიტომ, რომ სისხლის სამართლის კანონის დამრღვევის გასამართლებას მეტ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო.

საქირა ეხლა გავითვალისწინოთ, რა არის თვით სისხლის სამართლის კანონი, რა აზრს ემსახურება იგი? სისხლის სამართლის კანონი უკრძალავს მოქალაქეთ ამა თუ იმ მოქმედებას. ამა თუ იმ ქცევას, რომელიც მისის დროის მიხედვით მიჩნეულია საზოგადოების ცხოვრებისათვის მავნებლად. აკრძალავს, რა თქმა უნდა, არაფერი მნიშვნელობა არ ექნება და, რომ იგი სავალდებულო არ იყოს, ხოლო ნამდვილად სავალდებულოდ ჰქმნის აკრძალვის ის მუქარა, რომელიც მოქცეულია ხოლმე სისხლის სამართლის კანონში. ამიკრძალავს კაცის კვლაო, ამბობს კანონი, და, თუ ვინმე კაცს მოკლავს, ამა და ამ სასჯელს მივაყენებო, დასძენს კანონის მეორე ნახევარი.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონის ძალა და მნიშვნელობა მოთავსებულია იმ მეორე ნახევარში, რომელიც სასჯელის მუქარას შეიცავს. რა თქმა უნდა, რომ ასეთს მუქარას რაიმე საბუთი უნდა ჰქონდეს, რომ კანონმდებელი რითიმე უნდა ხელმძღვანელობდეს, როდესაც ამა თუ იმ აკრძალვის არა მორჩილს ამა თუ იმ სასჯელს ევალება. აქედან, ცხადია, იბადება საკითხი: რა აზრი აქვს სასჯელს, რითი ასაბუთებს მეცნიერება დასჯის სამართლიანობა, მის საქირაობას? აქაც უნდა ვთქვათ, რომ არც ამ წერილის აზრი და არც ადგილი ნებას არ გვაძლევს შორს გავყვეთ ამ საკითხს და ჩამოვთვალოთ ყველა ის აზრი, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერებაშია გამოთქმული ამის შესახებ. ვიტყვი მოკლედ მხოლოდ,—და ეს სრულებით საქმარისი იქნება ჩვენის საგნისათვის,—რომ დასჯას აზრად აქვს: გადაუხადოს ან უზღოს ბოროტმოქმედს მისგან ჩადენილ ბოროტმოქმედების სამაგიერო, თუ შეიძლება, გაასწოროს იგი, მოაშროს, რამდენ ხანსაც საქირა იქნება, საზოგადოების მანეწვერი და დაწყნაროს საზოგადოების აღლევებული გრძნობა. ბოროტმოქმედება საზოგადოებაში მეტ ნაწილად ბადებს აღშფოთებას და, სახელმწიფოში დალაგებული განსამართლების წესი რომ არ ყოფილიყო, ადვილად შესაძლებელია, თვით საზოგადოება გაუსწორდებოდა ხოლმე ბოროტმოქმედს. ასეთი

მაგალითი არაა იშვიათი, მაგალითად, ამერიკაში, სადაც ხშირად ხალხი თითონ ასამართლებს და სჯის, ეგრედ წოდებულ ლინჩის კანონით, განსაკუთრებულ, საზოგადო რამე ბოროტმოქმედის ჩამდენს.

ყველა შემოადნიშნული აზრი ერთად და ყოველი მათგანი ცალკე, რასაკვირველია, შეეხება საზოგადოებას და შეადგენს მის ინტერესს. როდესაც კანონი ცდილობს მანეწვერი მოაშროს საზოგადოებას ან დააცხროს იმავ საზოგადოებაში აღშფოთებული გრძნობა, ცხადია, მოსამართლემ უნდა ასწონ-დასწონოს, რამდენად მანეწვა ესა თუ ის კაცი, რომელმაც ესა თუ ის საქციელი ჩაიდინა; უნდა გამოარკვიოს, რამდენად აღშფოთებულია საზოგადოება ამა თუ იმ პირის მოქმედებით. საქირაა ამგვარი აწონ-დაწონვა და გამოარკვევა, რათა, რაკი საზოგადოების ინტერესით ხელმძღვანელობთ, სწორედ ისეთი საჯელი მივუსაჯოდ დამნაშავეს, რამდენსაც ის ინტერესი მოითხოვს,—არც მეტი და არც ნაკლები. მეტსაც ვიტყვი, შესაძლებელია, საზოგადოება, ხალხი სრულებითაც არ სთვლიდეს დღეს-დღეობით ამა თუ იმ საქციელს ბოროტმოქმედებად და, მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის დასჯაც აღარ შეიძლება.

რა თქმა უნდა, ამ კითხვების გამოარკვევა ყველაზე უკეთესად შეუძლია ისევ იმ საზოგადოებას, რომელსაც შეეხება. შეიძლება, რასაკვირველია, კერძო პირი,—თუ დაკვირვება აქვს,—მიხედეს საზოგადოების აზრს, მის გულის თქმას, მაგრამ მაინც-და-მაინც ამ აზრისა და გრძნობის პატრონი საზოგადოება უფრო კარგად და ნამდვილად გამოსთქვამს. მათ ამიტომ, თუ სამართალი და სასამართლო ხალხის ინტერესს ემსახურებიან, მათი სამსახური მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი დი მართებული, როდესაც მოსამართლეობა თვით ხალხსავე ჩაბარდება.

ჩვენს დროში, რასაკვირველია, შეუძლებელია, ადვილად წარმოსადგენ მიზეზების გამო, რომ მთელი ხალხი იყრებოდეს ერთ რომელსავე ადგილს და მოსამართლეობდეს. ახალმა დრომ მოიგონა ამისათვის განსამართლების ისეთი ფორმა, რომელიც არ თხოულობს მთელი ხალხის შეყრას ერთს ადგილს, ხოლო იმავ დროს შეძლებას აძლევს ხალხს მოსამართლის როლი აღასრულოს. ეს არის სწორედ ეგრედ წოდებული ნაფიც მსაჯულთა სამართალი.

იგ. ზურაბაშვილი.

ინგლისური აღზრდა

(ლექტურის თხზულებიდან)

არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ ბავშვის აღზრდის საქმეში არსად ოჯახს ისეთი დიდი როლი და მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ინგლისში. ინგლისელის ხასიათის და ზნეობრივ ფიზიონომიის განვითარებას მტკიცე საფუძველს ეძლევა ოჯახშივე, და ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ინგლისური ოჯახი, მის წევრთა განწყობილებითა და ზნე-ჩვეულებით, მეტად თავისებურია და დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვის ნორმ არსებაში მტკიცე და დამოუკიდებელ აღამიანის შემუშავებას.

ინგლისელისთვის ოჯახი, რომელსაც იგი „ჰომ“-ს უწოდებს, შეადგენს მის საკუთარს წმინდათა-წმინდას, სადაც გარეშე კაცი ადვილად და ახირებულად ვერ შევა. ინგლისელი ძალიან შერჩევით იღებს თავის ოჯახში გარეშეებს და მხოლოდ რჩეულებს გდაუშლის თავის შინაურ ცხოვრებას.

ბინადრობითაც ინგლისელი განკერძოებულად სცხოვრობს, — სოფელში თუ ქალაქ ადგილას თითო ოჯახი თითო სახლშია მოთავსებული და სრულებით უმეზობლოდ სცხოვრობს, რის გამოც არ მოხდება, რომ ერთმა ოჯახმა მეორე შეაწუხოს რითიმე. მხოლოდ ამ თავის „ჰომ“-ში, სადაც იგი პირველი უფროსი და ავტორიტეტია, ჰპოებს ინგლისელი მოსვენებას, მხოლოდ აქ ეძლევა იგი განცხრომას, ისვენებს სულიერად და ივიწყებს გარეშე საქმიანობის ფიქრსა და ვარაშ.

ბავშვებს ინგლისელები არ ანებივრებენ, — პირიქით უაღრესოდ ზრდიან. ისინი ცალკე ოთახში ჰყავთ მოთავსებული, იქ ასმევენ და აქმევენ და დღეში მხოლოდ რამდენჯერმე ინახულებენ, საბავშვო ოთახი არის დიდი, ფართო, ნათელი, შიგ თითქმის არავითარი ავეჯი არა სდგას, გარდა საწოლისა და პირსაბანისა. ბავშვს ყოველ დღე ცივ წყალში აბანებენ, რადგან ეს ძალიან ამაკრებს სხეულს, აცმევენ უბრალო და მოხერხებულად სატარებელ ტანისამოსს. ფებს აიდგამს თუ არა, ბავშვს მომეტებულ ნაწილს გარედ ამყოფებენ, წმინდა ჰაერზე, საცა იგი თავისუფლად თამაშობს გამდლის მეთვალყურებით. პატარაობიდანვე მას ნელ-ნელა ასწავლიან ავკარგის გარჩევას, უნერგავენ გულში სიმართლის სიყვარულს, თვითმოქმედებას და რწმენას, რომ ცხოვრებაში იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი და იმედი უნდა ჰქონდეს მხოლოდ თავის თავისა. ამნაირად აღზრდილი ბავშვი საღი აგებულობისა და, წლოვანობის დაგვარად, ყოველ მხრივ ზომიერად არის განვითარებული.

ოჯახურ აღზრდის შემდეგ იწყება სასკოლო აღზრდა, რომელსაც მიზნად აქვს განვითარება ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი. როგორც ოჯახში, ისე სკოლაშიაც ინგლისელი ცდილობს ბავშვი გამოიყვანოს ფიზიკურად მაგარი, მარდი და ჯან-ღონით სავსე და ამიტომ ყოველ სკოლაში მართავენ სხვა და სხვა გვარ სავარჯიშოებსა და სათამაშოებს, სხეულის მუდმივი ვარჯიშობა წმინდა ჰაერზე ამაკრებს ბავშვის აგებულობას, სხვა და სხვა გონიერ თამაშობის მეოხებით უვითარდება მას მხედველობა, ემატება გამბედაობა და თაოსნობა. ამის გამო ამ სხეულის სავარჯიშოებსა და სათამაშოებს ინგლისელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ფიზიკურ აღზრდასთან ინგლისში მჭიდროდ შეკავშირებულია ზნეობრივი აღზრდაც. აქაური სკოლა ძალიან დიდ ყურადღებას იქცევს ბავშვის ზნეობრივ განვითარებასაც, — ცდილობს ბავშვს შეუთუშოს მაგარი ხასიათი და მის ნორჩ ბუნებაში თანდათან განავითაროს ადამიანი მართალი, პატიოსანი, მტკიცე და დამოუკიდებელი.

ბავშვი შედის სკოლაში თორმეტის წლისა, როცა იგი ცოტათი კიდევ მომზადებულია ცხოვრებისათვის. წინანდელ დროში სკოლა ვერ იყო კარგ ნიადაგზე დაყენებული, სანამ ამ ასპარეზზე სამოღვაწეოდ არ გამოვიდა ტომას არნოლდი (1828 წ.) და დიდი ცვლილება არ მოახდინა სასკოლო სწავლა აღზრდის საქმეში. არნოლდმა თავის მთავარ მიზნად დაისახა ზნეობრივი აღზრდა მოწაფეებისა. იგი ყოველ ღონისძიებით ცდილობდა, რომ ბავშვებისათვის ჩაენერგა ზიზი-სიძულვილი ტყუილისა, ამ მიზანს აღწევდა თითოეულ ბავშვის ინდივიდუალურ ხასიათის გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებულ ღონისძიების ხმარებით. თავის მოწაფეებს იგი ჯგუფებად ჰყოფდა და თითოეულ ჯგუფს ცალკე მასწავლებელს უნიშნავდა ხელმძღვანელად. არნოლდის სკოლაში ბავშვს ყველაფერში ენდობოდნენ, მხოლოდ, სამაგიეროდ, სრულს სი-

მართლეს ითხოვდნენ. ყველაზე საწყენ სიტყვად იქ მიიჩნდათ „ტყუილი“.

არნოლდის სკოლამ დიდი გავლენა იქონია და გახდა საზოგადოებრივი სკოლად ყველა საერო სკოლებისათვის. არნოლდის სკოლის პრინციპები სხვა სკოლებმაც გადაიღეს და ახალთაობის აღზრდის საქმეში მიზნად გაიხადეს განვითარება ბავშვის კარგ თვისებათა და გასწორება ნაკლთა. დასჯა თითქმის არ იყო და არც ახლა არის. მოსწავლე იკავებდა თავს არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ დასაგმობ საქციელით არ შელახოს თავისი ღირსება და პატიოსნება.

სარწმუნოების სწავლებას ინგლისის სკოლებში საპატრიო ადგილი უჭირავს სკოლები თავის მოვალეობად სთვლიან „კარგად აღზრდილ ქრისტიანების“ გამრავლებას. წინად სასულიერო პირნი ახლო იდგნენ სკოლასთან და ეკლესიის გავლენა სკოლაზე დიდი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში ეს გავლენა ეკლესიისა ნელ ნელა მისუსტდა და დღეს თითქმის სრულიად გამქრალია.

სკოლებში გაკვეთილებს ამზადებინებენ მოსწავლეებს, მაგრამ ისე კი, რომ ფიზიკური ვარჯიშობა და წმინდა ჰაერზე ყოფნა არ მოაკლდეთ, საზოგადოდ ინგლისელი აღმზრდელები ძალიან ერიდებიან მოსწავლეების გონებრივ მოქანცვას და ამიტომ ბავშვებს გონებრივად მხოლოდ იმდენს ამუშავებენ, რომ ზიანი არაფერი მიეცეს სხეულის საღ განვითარებას. ამიტომ ახალგაზრდა ინგლისელმა, როცა სასწავლებელს ათავებს და იქნადა გამოდის, ბევრი რამ არ იცის. მაგრამ ის, რაც იცის, — კარგად იცის, და ამასთან თვითმოქმედება და შეგნება ცოდნის შეძენის საჭიროებისა, რომელიც მან სკოლაში შეითვისა, ძალიან ხელს უწყობს და აწინაურებს მას ცხოვრებაში.

ფილოსოფიიდან

I

როდესაც თვალს ვავლებთ კაცობრიობის გონებრივ შემოქმედებას, წინ გვიდგება ერთი ძლიერი სურათი-სიმბოლო: სალი კლდის ნაპარლზე გამოკვეთილი სფინქსი მოღიპარე სახით დაპყრებს მიდამოს, იზიდავს ყოველ არსს თავისაკენ და ეკითხება: აბა, გამომიცანო! ადამიანიც მიილტვის მისკენ მისგან დაინტერესებული, მაგრამ ცოტა თუ ბრუნდება დაკმაყოფილებული; უმრავლესობა-კი, რამდენადაც მას უახლოვდება, იმდენად ბურუსში ეხვევა: სფინქსი სფინქსად რჩება. სახელი მისი არის: მსოფლიო, უნივერსუმი.

მრავალი შემოქმედებითი ძალა დაუხარჯავს ადამიანს მის გამოსაცნობლად. რომელიმე ტიტან-ფილოსოფოსს აუგია თვალწარმატაცი შენობა — მეტაფიზიკური სისტემა, — მეტად რთული, მაგრამ ამასთანვე ფრიად მთლიანი, უღრმეს ანალიზით ამოშენებული, სხვა და სხვა ელემენტებით თანდათან გართულებული, მაგრამ მწყობრივ უმაღლეს სინტეზამდე ამართული. მოსულა მეორე ტიტანი, გამოუნახავს მასში რაიმე მთავარი ნაკლი, აუღია კვერი კრიტიკისა და მტვრად უქცევია იგი; მაგრამ მთავარი ფუძის დანგრევასთან თვითონ შენობა ერთიანად მიწადასხვა და მის დამნგრეველს ახალის ასაშენებლად ძალა გამოლევია, გამოჩენილა მესამე ტიტანი, უნახავს ეს ნანგრევები, გამოუძებნია მათში კარგი ნაკვეთები-ელემენტები და თავის გეგმით ამ ნანგრევებზე ახალი შენობა აუგია, კიდევ უფრო რთული და კიდევ უფრო მთლიანი, და ასე აშენირად მიდის წინ კაცობრიულ აზროვნების შემოქმედება.

ერთს უმთავრესს კითხვას ამ კითხვათა გროვაში წარმოადგენდა და წარმოადგენს კითხვა ინდივიდუალობისა. პლატონის იდეა ხომ ინდივიდუალობის გამოსახულებაა, სპინოზის სუბსტანცია მერე და მერე ხომ გაინდივიდუალებულია, ლიბნიცის მონადა ხომ თვით ინდივიდუალობაა!.. დაენებოთ თავი მეტაფიზიკას. აიღეთ სოციოლოგია და მორალური ფილოსოფია: აქაც დიდს როლს თამაშობდა და თამაშობს კითხვა ინდივიდუალობისა. მაქს შტირნერის სოციალური ინდივიდუალიზმი, ფრიდრიხ ნიცშეს მორალური ინდივიდუალიზმი, ლეო ტოლსტოის რელიგიური ინდივიდუალიზმი — მთელი ეს სისტემები ერთსა და იმავე კითხვაზე არიან აღმოცენებულნი; ინდივიდუალიზმივე იკიდებს ფეხს თანამედროვე ლიტერატურაში და ხელოვნებაში და იღებს სიმელოზიმის სახეს. ინდივიდუალიზმით არის გაჟღენთილი თანამედროვე რუსეთის ფილოსოფია, რომელიც, როგორც თანდათან ინდივიდუალისტური იდეალიზმი, საესებით მისტიციზმში, ანუ, მის წარმომადგენელთა ტერმინოლოგიით, მისტიურ რეალიზმში გადავიდა.

ინდივიდუალიზმი, როგორც ტერმინი, საუბედუროდ, მრავალ ცნებათა გამოქმედებაა, და მისი სრული კრიტიკა მოითხოვს მის ყოველ სახის განხილვას. მე ვერ შევხებები აქ ინდივიდუალიზმის მრავალმხრივან გათვალისწინებას. ავიღებ მხოლოდ მის ერთს საერთო სახეს — სუბიექტურ ინდივიდუალიზმს, ანუ უკიდურესს ინდივიდუალიზმს, და ვეცდები ნათელვჭყო, რომ მას, როგორც თანდათანობითს სისტემას, მიჰყავს თავის თავი თვითმკვლელობამდე

II

სუბიექტურ ინდივიდუალიზმის გამოსავლელ პუნქტს შემადგენს შემდეგი დებულება: — მთელს მსოფლიოში ყველაფერი ინდივიდუალობას წარმოადგენს; თქვენ ვერ ნახავთ ორ ფოთოლს, ერთიმეორის საესებით მზავს, ვერ ნახავთ ქვიშის ორ კენქსს, ერთიმეორის საესებით მგვანებულს. თვით ინდივიდუალობა არის ერთხელ მოვლენილი და განუმეორებელი. როგორც ამგვარი, იგი აუხსნელია, მაგრამ თავის მოვლენებით იგი თავის თავს თვითონვე ხსნის. ადამიანიც ერთგვარ ინდივიდუალობას წარმოადგენს; ამას გარდა, ადამიანთა შორის უმაღლესს განვითარებამდე მიღწეა პიროვნულმა ინდივიდუალობამ, მხოლოდ ინდივიდუალობა არის რეალი, სინამდვილე, სხვა ყველაფერი კი — საექვოა. მხოლოდ ინდივიდუალობას შეუძლია მოგვეცეს რაიმე მტკიცე, სობიექტივი, თვით სუბიექტივიდან გადამაინარებული.

მართალია ასეთი მტკიცება? რომ დასმულ კითხვას ნათლად მიუვგოთ, საჭიროა ფუნქცია ჩვენი აზროვნებისა ერთნაირად მივმართოთ, ანუ საჭიროა, წამოყენებული დებულება მათემატიკურად გავიზაროთ და დავიყვანოთ მის უკანასკნელ ლოგიკურ სკვნამდე; და თუ ამ ოპერაციის შემდეგ, იგი არ ჩავარდა წინააღმდეგობაში სხვა დებულებასთან, მაშინ იგი მართლად გამოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში — ყალბი. ავიღოთ დებულება სუბიექტურ ინდივიდუალიზმისა და მათემატიკურად გავიზაროთ იგი მის უკანასკნელ ლოგიკურ სკვნამდე. მსოფლიოში ყველაფერი ინდივიდუალობაა, ინდივიდუალობა აბსოლუტური; ხოლო იგი არის აბსოლუტური ინდივიდუალობა იმისგამო, რომ იგი აბსოლუტურად განირჩევა ყოველ სხვა აბსოლუტურ ინდივიდუალობისაგან; გარნა, აბსოლუტურ ინდივიდუალობათა შორის, რომლებშიც სუფევს აბსოლუტური განსხვავება, ყოველად წარმოუდგენელია რაიმე ურთიერთობა ამ სიტყვის ფართო

ფილოსოფიურ მნიშვნელობით. სხვა და სხვა მეტაფიზიკურ სისტემებში ინდივიდუალობად მონადა, იდეა, სუბსტანცია გამოდიოდა; ხოლო ყოველი მონადა, იდეა, სუბსტანცია, აბსოლუტად გააზრებული, თვით ამ გააზრებით სდებს მათ შორის აბსოლუტურ განსხვავებას, რომელიც თავის მხრივ წარმოუდგენელად ხდის მათში რაიმე, თუ გინდ აბსოლუტურად მცირე ურთიერთობას; და საჭირო ხდებოდა ხოლომე — ხელოვნურად გაედვათ მრავალი მეტაფიზიკური ხიდეები, რომ ეს უფსკრული გაველოთ და ერთი ინდივიდუალობა მეორე ინდივიდუალობასთან რაიმე დამოკიდებულებაში მოეყვანათ. საუბედუროდ, გავლის დროს ეს ხიდეები სტყდებოდა, და ისევ უფსკრული იჩნდა თავს, უფსკრული, თითქმის არარაობაში გადასული.

ასეთის თანდათანობით უკიდურესი ინდივიდუალიზმი მივიდა სუბიექტივ იდეალიზმამდე და ეს უკანასკნელი — სოლიპსიზმამდე. უკიდურესი ინდივიდუალისტი მსჯელობს: მტარებელი შემეცნებისა არის ინდივიდი, „მე“; მაშასადამე, ყოველი შემეცნება ინდივიდუალია. ხოლო ინდივიდისათვის მხოლოდ ინდივიდუალი, ესე იგი, თვითონ იგი, სუბიექტი, წარმოადგენს ნამდვილ რეალს; მაშასადამე, ყოველი ინდივიდუალი სუბიექტივია. ბოლოს და ბოლოს, იგი ამ სუბიექტივიზმს მიჰყავს იქამდე, რომ სხვა ინდივიდი, ანუ სხვა „მე“ საექვო რეალობად ეჩვენება. აქ სუბიექტივი ინდივიდუალიზმი გადადის სოლიპსიზმში. მაგრამ სოლიპსიზმი — ანუ ექვობა სხვის „მე“-ს რეალობაში, არსებობაში — გავიზაროთ მათემატიკურად და მივიყვანოთ მის უკანასკნელ ლოგიკურ სკვნამდე. რას მივიღებთ? ინტელექტუალ თვითმკვლელობას! სოლიპსიზტი — თუ კი შეიძლება ამგვარ ტიპის წარმოდგენა — ექვობს სხვის „მე“-ს არსებობაში. ამით მას ნიადაგი ეცლება. მაშინ იგი თავის თავში იძიებს ამ ნიადაგს, მაგრამ აქაც ყველაფერი იცვლება; იგი თავის თავს სულ სხვანაირად იცდის დღეს, ვიდრე გუშინ. მას თანდათან ეცლება ეს უკანასკნელი ნიადაგიც, ერთგვარი პუნქტი დამყარებისა, და იწყებს ექვობას თავის თავშია. ექვობა თანდათან იზრდება, — და მისთვის აღარაფერი სუფევს რეალი: იგი მიდის ინტელექტუალ თვითმკვლელობამდე.

ასეთი ტიპი რამოდენიმედ ლეონიდ ანდრეევა დაგვიხსნა თავის შესანიშნავ მოთხრობაში: „აზრი.“ კერეცეცივი ყველაფერს კითხვას უსვამს, ყველაფერში ექვობს. როგორც უარყოფი, იგი ძლიერია; ხოლო, როგორც კი შემოქმედებას იწყებს, მაშინვე გრძნობს უნიადაგობას. თვით ამგვარი უნიადაგობა აქარწყლებს ყოველგვარ ნორმას, რომელიც უცილებელი საჭიროა თვითდადგინებისათვის. (თვით ეს ნორმა მე მესმის არა როგორც ძალდამტანი, არამედ როგორც თავისუფალი აუცილებლობა, როგორც, მაგალითად, ლოგიკური აქტი) გამოეცალა-რა ყოველი ნორმა თვითდადგინებისათვის, კერეცეცივი გრძნობს ინდივიდუალ განკერძობებას და შემდეგ ინდივიდუალ ცალიერობას. იგი, როგორც უნიადაგო, იცვამს „დაილექტის“ მანტიას და ყოველ კითხვაზე, რაგვარადაც უნდა იყოს იგი დაყენებული, ჰოსაც ამბობს და არასაც იგი გადადის ინტელექტუალ არარაობის სფერაში, ანუ მიდის ინტელექტუალ თვითმკვლელობამდე.

შემდლო კიდევ სხვა მაგალითი მომეყვანა, მაგრამ მოკლე განხილვისათვის, მგონია, ესეც საკმარისია. მოვიყვან მხოლოდ მაგალითს სოციალურ-მორალურ სფეროდან.

სუბიექტივი ინდივიდუალიზმი აქაც ნიადაგის გამოძილება. სუბიექტივი ინდივიდუალისტი სწამს მხოლოდ თავისი ინდი-

ვიდუალი აქტი. ხოლო თვითდადგინებისათვის აუცილებლივ საჭიროა რაიმე ნორმა, რომელსაც იგი ამ ინდივიდუალ აქტში ეძებს. მაგრამ ეს აქტი იმიტომ არის ინდივიდუალი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომ ყოველ ნორმას მოკლებულია; და სუბიექტივი ინდივიდუალისტი, რამდენად იგი თავის ვითომ-და ნორმად ინდივიდუალ აქტს იხდის, იმდენად იგი უფრო მეტ და სხვადასხვა ინდივიდუალ აქტამდე მიდის, იმდენად უფრო შორდება ნორმას, იმდენად ნიადაგი ეცლებოდა თვითდადგინებისათვის და იფანტება არარაობაში. წარმოიდგინეთ ინტელექტუალ სფერაში სუბიექტივი ინდივიდუალისტი ნორმის გარეშე, მაგალითად ლოლიკურ აქტის გარეშე, და თქვენ დაინახავთ, რომ იგი იკარგება არარაობის უფსკრულში. ასევე ხდება მორალურ სფერაშიაც ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ასეთი ტიპი მორალურ სფერაში რამოდენიმედ დაგვიხატა სტანისლავ პშიბიშევსკიმ თავის განთქმულ რომანში „Homo Sapiens“. ფალკი ნამდვილი განხორციელება ნიციუს „ზეაკისა“ და შტირნერის „ერთადერთისა“. როგორც კერძენიკოვი ინტელექტუალ სფერაში ყველაფერს უარპყოფს, ისე უარპყოფს ფალკიც ყველაფერს მორალურ სფერაშიაც. მან არ იცის არავითარი ნორმა გარეშე ინდივიდუალ აქტისა; ხოლო ინდივიდუალი აქტი მრავალია, ხანდახან ერთი მეორის წინააღმდეგი და, მასასადამე, ყოველად შეუძლებელი იყო იქ მას გამოენახა რაიმე პუნქტი დამყარებისა და თვითდადგინებისათვის. აქედან ფალკი, ასე რომ ესტყვათ, იზნევა მრავალ ფალკად და ეს უკიდურესი ინდივიდუალისტი გადადის ინდივიდუალ ცალიერობაში-არარაობაში. ხოლო არარაობას ინდივიდი მიჰყავს მის ინდივიდუალობის მკვლელობამდე.

ასეთია მათემატიკურად გააზრებული სუბიექტივი ინდივიდუალიზმი მის უკანასკნელ ლოლიკურ სკენამდე: მას მიჰყავს თავისთავი თვითმკვლელობამდე.

III

ინდივიდუალიზმის მეორე მხრივ სდგას უნივერსალიზმი. ყველაფერი ინდივიდუალია, მაგრამ ამასთანავე ყველაფერი ერთგვარია: ჩვენ ვერ ვნახავთ ორ ფოთოლს, სრულიად ერთიმეორის მზგავსს, მაგრამ ჩვენ ამასთანავე ვერ ვნახავთ ორ ფოთოლს აბსოლუტურად განსხვავებულს. ამ ერთგვარობის გამოქსახველი არის მსოფლიოს ელემენტთა ურთიერთზედ მოქმედება, ანუ „გაგება“, ამ სიტყვის ღრმა ფილოსოფიურ მნიშვნელობით. ეს „გაგება“, ეს ურთიერთობა მკაფიოდ ისახების განსაკუთრებით შემეცნებაში. როგორც აღვნიშნე, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, უკანასკნელ წერტილამდე დაყვანილი, წარმოუდგენლად ხდის რაიმე „გაგებას“ ან ურთიერთობას ინდივიდუალობათა შორის. მაგრამ ამ მტკიცებას თვით სინამდვილე ყოველდღიურ ცდაში უარპყოფს. არა თუ ერთი და იმავე სახის ინდივიდები არამედ თვით სხვადასხვა სახის ინდივიდებიც კი „გებულობენ“ ერთი მეორეს და აწყობენ ურთიერთშორის განსაზღვრულ დამოკიდებულებას. ამ ფქტში ისახება ერთგვარობა ცნობიერებისა საზოგადოთ. აიღეთ, მაგალითად, ადამიანი და ძაღლი. მათ შორის ჩვენ ვპოულობთ „გაგებულ“ ურთიერთობას. რომ წინააღმდეგი წარმოვიდგინოთ, ესე იგი, რომ წარმოვიდგინოთ, ვითომ ძაღლისა და ადამიანის ცნობიერების შუა უფსკრულია, აბსოლუტი განსხვავებაა, მაშინ მათ შორის არ ექმნებოდა ადგილი არავითარ ურთიერთობას. რასაკვირველია, ძაღლის ფსიხო-ფიზიური ორგანიზაცია განსხვავდება ადამიანის ფსიხო-ფიზიურ ორგანი-

ზაციისაგან და ამისთვის მათი ცნობიერებაც ამ განსხვავების გამო „სუბიექტივია“, მაგრამ ეს სულ სხვა კითხვაა და სრულიად არ უარპყოფს ძაღლსა და ადამიანის შორის არსებულ ერთგვარ ცნობიერებას ამ სიტყვის ფილოსოფიურ მნიშვნელობით.

ნათქვამის ასახსნელად მოვიყვან ერთ მაგალითს: ამბობენ მარსზე ადამიანის მზგავსნი არსებანი ცხოვრობენ, ხოლო, რადგან ისინი სულ სხვაგვარ პირობებში იმყოფებიან, ამისათვის მათ სხვა ფსიხო-ფიზიური ორგანიზაცია ექმნებათ და ჩვენ ვერც კი გავიციებენო. აქ ფლამპარიონმა სთქვა: ჩვენ შეგვიძლია მათთან გეომეტრიულ ფორმულებით ვილაპარაკოთო, და, მართლაც, ფლამპარიონის თქმული სრულებით არ არის სიმართლეს მოკლებული. მართალია, მარსის მცხოვრებთ სხვა სახის ფსიხო-ფიზიური ორგანიზაცია ექმნებათ, მაგრამ აბსოლუტად ხომ არ იქმნებიან განსხვავებულნი ჩვენგან! ჩვენსა და მათ შორის, როგორც საერთოდ მსოფლიოში, უთუოდ ექმნება რაიმე საერთო, რომელიც შეძლებას მოგვეცეს მათთან „გასაგები“ ურთიერთობა (თუ კი „გაუგებარი“ შეიძლება ფილოსოფიურად!) ვიქონიოთ. ეს რაიმე საერთო, ფლამპარიონის აზრით, უფრო სივრცის წარმოდგენაში იქმნება, რომელიც უფრო ზოგადია ყველასათვის, და, მასასადამე, გეომეტრიული ფორმულები შეგვიძლია ვიხმაროთ, როგორც ჩვენსა და მათ შორის გაწყობილია სიმბოლოები, რომელნიც საერთო ენის მაკვივრობას გავიწყებენ.

ეს მსოფლიო ფაქტი ცნობიერების ერთგვარობისა, საუკეთესოდ გამოსახული „გაგებულ“ ურთიერთობაში, თავისთავად გულისხმობს ბუნებრივ ნორმის არსებობას, რომელსაც მაგალითად წარმოადგენს ლოლიკური აქტი. აიღეთ თუ გინდა ლოლიკური კანონი ერთდაიგივებისა: $A=A$. ეს კანონი არის ბუნებრივი ნორმა, რომელიც იგულისხმება ყოველნაირ შემეცნებაში. იგი არის ისეთი ნორმა, რომელიც არავითარ სხვისაგან არ გამოიყვანების და თავის თავს თვითონვე ხსნის. ვულგარ ევოლუციონიზმით მისი რისგანმე გამოყვანა ყოველად შეუძლებელია: ლოლიკური აქტი ვერასოდეს ვერ გამოევა ულოლიკოსაგან და არც შეიძლება ვნახოთ ის მომენტი განვითარებისა, სადაც არალოლიკური აქტი გადადის ლოლიკურში. თვით ლოლიკური აქტი არის ბუნებრივ აუცილებელი ნორმა, ხოლო აუცილებელი არა „ძალდატანებით“, ამ სიტყვის პრაქტიკულ მნიშვნელობით, არამედ თავისუფალი; პირიქით, უბედურება მაშინ იქნებოდა, თუ წარმოვიდგენდით ლოლიკურ აქტადგან თავისუფალ აზროვნებას, თუ კი აზროვნება დაერქმევა იმ აზროვნებას, რომელსაც ადამიანი არარაობის უფსკრულში მიჰყავს.

ჩემის აზრით, ასეთი ერთგვარობა ცნობიერებისა არის სწორეთ ის, რასაც დიდებული კანტი ტრანსცენდენტალ ცნობიერებას ეძახის. აქ ადგილი არ არის ამის გარკვევას შევუდგე. აღვნიშნე მხოლოდ შემდეგს: ტრანსცენდენტალი ცნობიერება გამოისახვის ურთიერთობაში „გაგებაში.“ ხოლო მკითხველს არ ეგონოს ვითომ ურთიერთობა ჰქმნიდეს ტრანსცენდენტალს, ვითომ ეს უკანასკნელი მისი შედეგი იყოს; სრულიად არა: თვით ტრანსცენდენტალი აუცილებელი პირობაა ურთიერთობისა, ურომლისდაც ეს უკანასკნელი შეუძლებელია. მაგრამ არც წინააღმდეგი შეგვიძლია ვსთქვათ, ვითომ ტრანსცენდენტალი ჰქმნიდეს ურთიერთობას: ტრანსცენდენტალი მით არის ტრანსცენდენტალი, რომ იგი თვით ურთიერთობაა, მათი განაწილება მხოლოდ გონებრივ აბსტრაქციაში თუ არის შესაძლებელი. ურთიერთობა ჰქმნის მხოლოდ

ობიექტივობას შემეცნებაში, ან, გერმანელები რომ იტყვიან, Allgemeingültigkeit (Общезначимость, საყოველთაო მნიშვნელობა). ეს კითხვა კი განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს. ამრიგად, მსოფლიოში არის ერთგვარობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომელიც არისათვის წარმოადგენს ერთგვარ ნორმას თვითდადგინებისათვის. აქ არის პუნქტი დამყარებისა, რომლის შემწეობით შესაძლებელია ნორმალური განვითარება.

IV

მაგრამ არც უკიდურესი უნივერსალიზმია გამოსაყენებელი, თუ მას მათემატიკურად გავიაზრებთ და დავიყვანთ უკანასკნელ ლოლიკურ სკენამდე. მაშინ მივიღებთ რაღაც ერთიან მასსას, სადაც ყოველი ინდივიდუალობა ამოშლილია, რაც უფრო საშინელ არარაობამდე მიგვიყვანდა. არსებობს ერთგვარობა, მაგრამ არსებობს ინდივიდუალობაც: ერთგვარობა ინდივიდუალობათა შორის და ინდივიდუალობა ერთგვარობაში. სპი-როა მოვანათ ისეთი ხიდი, რომელიც გაიდებოდეს ინდივიდუალიზმსა და უნივერსალიზმის შორის. ჩემის აზრით, ასეთს ხიდს წარმოადგენს სოციალიზმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მას უახლოვდება მიხაილოვსკის სოციალური სისტემა, რომლის სუბექტივიზმი არისო არა ინდივიდუალისტური, არამედ ანთროპოლოგიური და რომლის ინდივიდუალიზმი არის არა სუბექტივი, არამედ ყოვლკაცობრიული. ერთის სიტყვით, სოციალობა არის ის ხიდი, რომლითაც ერთდება ინდივიდუალი ცდა ერთი პიროვნებისა სხვა პიროვნების ინდივიდუალ ცდასთან. სდგება ეგრედწოდებული სოციალი ცდა, რომელიც შესაძლებლად ხდის კაცობრიულ შემოქმედებას.

ხოლო ყოველთვის უნდა ვიქაჩოთ სახეში შემდეგი გარემოება: სოციალობა თავისთავად არ არის სუბსტრატის ფსიხო-ფიზიური, რომელსაც შეეძლოს რაიმე „განცდა“. ამ მხრივ, ფსიხო-ფიზიურ რეალობას ანუ სუბსტრატს წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალობა და მართა მას შეუძლია რაიმე განიცადოს. ამისათვის სოციალობას აქვს იმდენად მნიშვნელობა, რამდენად იგი ინდივიდუალობას ავითარებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰკარგავს თავის ფუნქციას...

ამის მხედვით სოციალურ მეცნიერების მიმართულება შემდეგი უნდა იყოს: გამოსასვლელი პუნქტი—ინდივიდი, როგორც სოციალური ატომი ანუ ისტორიული ერთეული, შემდეგ—ინდივიდთა მრავალგვარი სახე შეჯგუფებისა, როგორც, მაგალითად, საზოგადოება, რომელიც გამომსახველია სოციალობისა სხვა და სხვა ფორმაში: კომუნა, ფედერაცია, კონფედერაცია და ასე ქვევიდგან ზევით, ბოლოს ისევ ინდივიდი, როგორც „გადამცდელი“ ყოველგვარ შემოქმედების, და მათ შორის სოციალის შედეგისა...

ქ. ლევიტივი.

გრ. კავკასიელი.

უძმოს—ძმა

(ფშველელების ცხოვრებიდან).
(დასასრული)

III

დღეს ჩაღხო სამოცის წლის კაცია. დაზიდად ცხოვრობს. ცოლი ერთგული დედა-კაცი გამოადგა, შეიჯდა ერთი ვაჟი და ქალი ჭყავს;

იხ. ივერია № 4.

ქალი-გათხოვილი, ვაჟი სხვასთან არის ცხვარში ჩაბნად. ჭყავს ოთხი ხუთი სული ძროხა, იმათა მწყებს. აქვს სხვასთან ზიარი წისქვილი. ერთი ქვა ჩაღხისია, ერთი სხვისა—ხელდადგულია გამიხარდასა. თუ რა დირსების წისქვილია და რა ჭურისა, ეს იმ ლექსიდანა სჩანს, რომელიც ხაღხმა გამოთქვა წისქვილზე.

ჩაღხი გამართა წისქვილი
კაღხაღს გააქვს კრალი.
ორად სტეხს, სამად აღარა,
ქვ შამა-შადღის ტიადი.

ცოცხალივ გადმეყვარეს
უელში ჩცვინულს ჭინი.
შინდ ჭავჭავაქენ არ დაჭეჭვენ
ჩაღხოს საფერი კი არი!

როგორც ჩაღხი დაბერდა, ისე მისი წისქვილი და, რა თქმა უნდა, დღეს ერთსაც აბუზად დაიჭერდა ჭყეუნას და მეორესაც, წისქვილი გაიღია, ახლს და სიმინდს ვეღარა ჭეჭეჭავდა, მაგრამ ჩაღხი მოახერხა და წისქვილს ზევიდან დიდი ლოდი დაადო სიმძიმის ბუღისთვის.

სშირად იძლეობდა ჩაღხოს წისქვილი, რადგან უმინდოდ ჭეჭეჭავდა ეგელა: ჩაღხი ვარს ვერ ეტუოდა, რის გამო მოზიარე გამიხარდი სშირად ეხსუებოდა ჩაღხოს.

— შენს სიტყვებში სუ უკლო როგორ უნდა იყო, შე ბე ჩავი? რაზე აშლეინებ და ანდგრეინებ მა წისქვილს ჭეჭეუნას? ეტუოდა სშირად გამიხარდი.

— ასკარტუე უხდა, მართე, შამკერ და გამოქვერ სადორკში.

— რა ვუო მაშა? ჭეჭეუნას, შეზობლობას. სიკვიდი-სიტო-ცხლა, მადლა, — ეტუოდა ჩაღხი ზასუსხად, ჩაღხი დღესაც ისევ ივიე უძმოს-ძმა, მსოლოდ სხვა სხით: დღეს ისევ მუშტით ვეღარ შე-შეელებოდა გაჭეჭრებულს და ეშეელებოდა, რითაც შეაქლო.

— შენც რა გიჭირს, შე ბეჩავო, თავზე ქუეა არა გხურავ და ფეხებზე ქაღმები არ გცნავ? გლახს გამეშვარა ქურდზე უარესიაო, — არ იგი? არ გავიგონია? ეტუოდა კვალად გამიხარდი.

— ვიცი, მაგრამ რა ვუო, მადლობა დემრისა. შე ესლა ვეღარ გაემიდრღები ჩემის წისქვილის კი არა, რაც ჩვენ სოფელში წისქვილებია, იმათი მინდიც რა შე ავიდოე. — უზასუსებდა ჩაღხი.

ჩაღხოს, მართლაც, ძალიან სშირად უნდებოდა წისქვილის მართვა და სულ იმის გაზიადვაში იყო. ხან ბორბალსა ჭმართავდა, ხან ბუღს უმაგრებდა, ხან ქეებს აწუბოდა ერთმანეთზე. საცოდავად ღრწინებდა იმის წისქვილი, შორს, ძალიან კარგა შორს ისმოდა მისი ღრწინი, სადაც სარეკელაზე ქქინდა დაკრული ხაღხის ნამტურე-ვეები, რომლებიც ბუჭ-წინწილას ხმას გამოსცემდნენ.

გამეჯღ-გამომეჯღი ხუმარ ბიჭები ცოტა ხნობით შინც შედგებინ, როცა ჩაღხოს წისქვილს მოუახლოვლებიან.

— ბიჭო, აბა ურე დაუგდე, რას იძახის ჩაღხოს წისქვილი? კი ბიჭი იქნება და იცნობ? უუბნებოდა ერთი მეორეს.

— რა დიდი ცნობა უნდა. ცხადია, რასაც ამბობს. — უზასუსებს მეორე: ბიჭოს, ბიჭოს! ჭე ჭეე! თან იცინის, თრეინე ურს მოუ-შურობენ გვერდზე დახრილები და წელში მოხრილები, ხოლო ერთი უთარგმნის ჩაღხოს წისქვილის დაზარაკს: ჭია, ჭია, ვაი, ვაი, ჩაღხო, ჩაღხო! რადა ხარ? რადა ხარ, იიი ჭოო. მიჭირს, მიჭირს, მამეშეელე, მამეშეელეეე!... გიგ... გ დ... ე—ბიიი!

— ფიხად, ფიხად. აჭხსენი! ეტუვის მეორე და ორივენი ტუბილად გადახარხარებენ.

ჩაღხომაც კარგად იცის, რომ დასცინიან ორივეს, ზატონს და მის წისქვილს, მაგრამ არ იფლებს ბაიბუზად და ამბობს: „გინც

რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი თქვასო“. არაფერს არ ემდურის, არაფერს არ ღანძლავს. მსოფლივ, რომ დაფიქრდება, მიივლინებს თავის წარსულს ცხოვრებას, ამითარებს და იტყვის: „საკვირველი ვიყავ, საკვირველი, სხეულის საქმეში დაღაღული, რად მე ქვეყნის მუშაში (შამთადად) დაგაღაღულვარ, სხვის საქმე მიკეთებაა, იმის ნახევარი რა თავის სასლისათვის მერგო, ჩემზე წინ კაცი არ იქნებოდა. ახლა ნაჭრეგები, ნაცემი რამდენი მჭირს სულ სხვის გულისათვის? ვინ დასთვლის. ეჰ, მადლობა შენთვის უფალო, სეტყვი ისევ ჭაღლი მქნა და თუნდა ათჯერ ამასე მეტიც მამხვედროყო, კიდევაც ავიტანდი. სიბერე, ეს ოხერი, ცუდი ჭირი უფთვლა. შინ ჯაღათთ მოძულეებულ კარუთაც აღარაფერს უნდოვარ. სიცოცხლე მანამდე უდიდეს კაცს, მანამ იმის ქვეყანა რასმე გამოქვს. მეც მარტო მაშინ მიდიდა სიცოცხლე და მაშინ ვიყავ კაი ბიჭი, მანამ ვეველა გაქირვებულს ჩემზე ჭირებოდა თვალი და ფიქრობდა: ან ესლა მამუშელებს ჩაღხო, ან ესლაო. აი მაშინა დიდა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლედა. ესლა რა ვარ? არაფერი. იმისთანა საქმეს რა შავსწრო, უნდა თვალები დაგხუჭო... ფუჰ!..“

როცა არაფერი ედგა და სტუმარი ვინმე ეწვეოდა, მომეტებულ ნაწილს შესანდობებს სვამდა; იკონებდა კარდაცვალებულთ: დღე-მამას, ბიძას, თავის სიყვარულ ტოლ-ამისნაგებს, რომელნიც კავიდნენ ამ სოფელიდან. „ღმერთმა შიშვალდოს, ღმერთმა კანათლის იმათი სული იმ ცქელ ქვეყანას, დამრბობი დიდხისს უცოცხლოს მამკონეთ. კაი დროს დაიხონენ, ნეტავი მეც მომკლა, რის მამხისი და ვარ, აბა, აქ რადან ვაკეთებო და მეც იმათთან რადარ წაგალო“. — შესანდობარს როცა ამბობს, ცალ ხელში უჭირავს გაქურდილი ტუფის ქუდი, რომელიც კინკრინის ძლივს უფარავს და მეორეში არაფერს ეხსენებს.

ჩაღხო ერთი იღაღი ჭქონდა, რომლის აუსრულებლობა გულს უღაღდა: ძალიან უნდოდა შვიძინა ერთი სასარეო ქვაბი, მაგრამ სიყმე სიბერედ აქცია და, არ იქნა, ვერ მოახერხა ქვაბის ეიდვა, ან კი რად უნდოდა სცოდნავს? ისიც ქვეყნის სთორედად, სწავლად გზებობდა, როგორც წისქვილი და ბოლოს საშაინდღად.

თუმცა ჩაღხო დღეს ემდურებოდა წუთისოფელს, სიბერეს, — აღარც თავს ვარჯივარ, აღარც ქვეყანასო, მაგრამ დღეს უკეთესი უძმოს-ძმა იყო. სადაც რამე სარაღი ჭირით მიცვალებული განდებოდა, ის იყო ზირველი მოზარე მკვდრისა და მანუგაშეული ოჯახისა. სხეუბი ერიდებოდნენ, მაგრამ ჩაღხოს მორიდებას ვინ იტყოდა? მაგრამ არც ერთი კადმების ჭირით ავად არ გამხდარა. „ჩემ და ქვას რა მოუდგება“, იტყოდენ თავის განსამრთლებლად მისი მეზობლები. სიბერის დროს ჩაღხომ კიდევ იმდენი შესძლო, რომ დიუფლიდან უელჭირვებით დასოცლი იმედა და იმის ერთად ერთი ქალი ჩამოიტანა; თავ-ზარ დაცემული ხაღხი დაფრთხა, არაფერი მიეკარა ახლოს, საქმე იქამდის მიდიდა, ღამის იყო მკვდრები ზეზეურად დამდნარიყვნენ.

„გცხვენოდეთ, გცხვენოდეთ! ღმერთმა შავრცხვინოთ, ღმერთმა!.. ეკ არი ძიობა და მეზობლობა?!“ ეუბნოდა ჩაღხო შვერებილს ხაღხს და თან მუხლამდე თოვლს მიჭკვალავდა: „მე წაგალო, მე, მარტოკა, მე ჩამოვიტან მკვდრებს. თქვენ შინ წადით, შინ ცოლებთან დაიმაღლებით, ხუმრობა საქმე არ არი, თავი კარში არ გამოჭეთ, თორემ ჭირი მოგხვდებაო“...

ჩაღხომ მართლად მარტოკამ ჩამოათრია მკვდრები სთორელით, მსოფლივ, დაღლაკლასში რომ ჩამოიტანა, მოაშველეს სხეუბს ხარბი და მარხილი, რაზედაც მკვდრები ჩაღხომ დასვენა; სხეუბი კი შორი-ახლოს გაჭყუნენ მიცვალებულებს სასოფლათმდე, სადაც სოფლავის მთხრელები, მდგელი და დიაკონი დაჭებდნენ.

დღეს უძმოს-ძმა, თუმცა სამოც წელს გადაცილებულია, მაგრამ კიდევაც არაფერი კაციტინებს, რომ ეთქვათ: „შენი ჭირი მე ზირმაა, — კარკი ხარ კასაჭირმაო“...

ვ

ამ წუთის სოფელს თავი და ბოლო ერთად უძვეს ეს ჩაღხო ცხოვრებასაც დაამტკიცა: ერთი კვირა დღეს „ჩინტელიის“ კარებზე კიდევ დასჭირდა ჩაღხოს ჭეილობის დროინდელ ვაკანობის გამოჩენა, მსოფლივ უმთარახოდა; დღეს ჩაღხო მთარახს აღარ იტარებს. შესანიშნავი, სახელთგანი მისი მთარახი, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, დასტა, მადლა კარებზე ჭკიდას შებოლიდა-შემოჭვარტლული; ბოლოს და ჭვარტლს ისე გაუშვება, როგორც ეოჩნის ბოლო. ათსში ერთხელ-და თუ შაჭხელავს ჩაღხო თავის დაძველებულს სთორეთს და იტყვის: ეჰ, წავიდა მაკის დრო, აღარ არი; მთარახის და მუშტის დრო მაშინ იყო, როცა მკვლავ-თქვალა ფშეველები იყვნენ, ესლა მორხა... დასჭირდა სიბერის დროსაც ჩაღხოს უძმოს-ძმობის გამოჩენა.

კანცელარათის მთელს საზოგადოებას მოეყარა თავი ბოქაულის დაბარებით. ბოქაულიც აქ იყო თავის სტარქიკებით. ბოქაული ბალკონზე იჯდა, ჩაის მიირთმევდა, ხოლო ხაღხი კანცელარათის წინ იდგა გროვად. გროვიდან ერთი ჩაღხოს კბილის მოხუცებულ კედ-მონდილი შესთხოვდა ბოქაულს: „ღმერთა კადლეკრძელებს, კაკარხით, დაგვაშორეთ ერთი-მეორეს, არ მანებებს, ბატონო, ჩემს მამულს. თოფითა და ხმალით მიდგება წინ: ჩემია, შიგ მოვეკვებო და არ დაგანებებო, იმას მიუბნება, მეც რა თოფი და მახვილი ავიღო, ერთმანეთს დაგხონეთ, თქვენ კავგასამართლეთ.“

— ოჰ, დიწვეებს ესლა ეს ბერეკაცი და აღარ გაათავებს. წარმოსთქვა ბოქაულმა. ვინ არ განებებს?

— განა არ მოგეხსენებათ, ვინც არა, ახალი საქმე ხო არ არა, რამდენი ხანა თქვენთან ვიზო, სთქვა მონდილი.

— მერე, შე გამოჩენიტებულაო, შენს მეტი აღარაფერს ჩავის... სათითად საიდან დაგხსინონ თქენი საქმე და გვარები?! ვის უნივო, მეუთა, მე იმას გეკითხები. მომეცი ამის ზნუსო...

— ვისა და ქერჯულათ ხუმარას, მოუგო მონდილი.

— თქენი საქმე მამასხლისს დაგვალო, იმას უნდა გაესინჯა ადგილობრივ და მართალი მხარე დაეკმაყოფილებინა. ეკ ჩემი საქმე, არ არი, სთქვა ზრისატემა შებლ-შეკვრით: დაუბახეთ მამასხლისს, სად არის ქენჯულაშვილი?..

ორივენი მალე ზრისატევის წინ გამოიხატნენ.

— მამასხლისო! რაც გბძანე ამ მოხუცებულას სჩივრას კამო, აასრულე თუ არა? სთქვა განრისხვებით ბოქაულმა.

— ეველაფერი, ბატონო, უნაკულად, მაგრამ ეს მოხუცებული არა ხდება თანხმად; სტუეის და ჭოუტობს. წარმოსთქვა შედიდურად მამასხლისმა.

— იმითა ვსტუეი, განა, რომ ხუმარამ ერთი ლიტრა კრბა და ერთი ლიტრა თოფლი მოციტანა? საკლავი დაკლავ და მთელი დღე და ღამე გაქვიტა! შამირცხვა თქენი სამართალი! სთქვა მონდილი.

ზრისატევი ძალიან გაარისხა მონდილის სიტყვებმა და მაშინვე შესაფერი განკარგულება მოახდინა.

— ჭი თქვე მამასდლებო, არა ხარ კმაყოფილი? ჩაფარო, მთარახი მაგას!

ჩაფარმაც მთარახები მიაგულა მონდილს.

აქ მდგამი ხაღხი, სულ-განაბული, კაუქიბული, განუშეული ხმა-ამოულაბლად შესწერებოდა ამ ემსკ ვს სურათს. მსოფლივ ჩაღხომ ვერ მოითმინა, ჯერ თავისი გაქურდილი ქუდი მოაძლიდა თავი-

დან და სთხოვა ზრისტავს ეპატრიებისა და, თხოვნამ რომ არ გასჭრა, ჩაფარს მთავლად ხელი და გამოსწია აქეთ.

— რას სხადი კნო. რა დაშაია ამ სსწყადმა ბერი კნო, რომ აგრე უდიდობად ეპურობი უთხრა ჩაღხომ ჩაფარს. სსკანი ხელს არ ანძრეგდენენ.

— Его тоже съ нимъ вмести, — დაიუიარა ბოქაულმა მადლიდან.

ჩაფარმა ასლა ჩაღხოს მიყოლა მათრ ხეში.

— დამკარ, მე დამკარ. აქა ვარ, კიდევ დამკარ. ეს ერთი... ეს ორი... ეს სამი... სთქვა ჩაღხომ. ჩაფარი შეოთხედგე უზარებდა დარტემის, რომ ჩაღხო აქით, სსკანის ტეცხლი დაქით იმის თვალბში და სსხეზე: „გოფია ეს მუდრეგი, რასეუდ შაჟღება ამ დროულ კანს, არა გტხეკანს? და ჩაღხომ ხელი ისე მაგრა ჰგრა კულში, რომ ჩაფარი თქვამს გულადმა გაისხჯართა ჩაღხოს წინ. ჩაღხმა უხლა გამოლო მსოფოდ ხელი და ჩაღხოს შემოახვია. უძმოს-ძმას იჭურდნენ და ასურეუდნენ.

— რას ამბობთ, დაჰვიდით, ხაღხნო?! ეუბნებოდა ჩაღხო ხაღხს, რომელიც უმტიკებდა, რომ სამსახურის კანცია, კარგი არა შეგემთხვევა მაგათ ხელის, შებრუნებოთ.

ბოქაული სულ-გრძელი გამოდგა: ჟერ ხნად გამურში დამწვევებ გაუბედა, მსალოდ მოხურებულბის გამო ამატიფა.

ხოლო ჩაფარს კი დასცინოდა ბოქაული:

— Как же тебя свалил старикъ.. а?

— Такъ, случайно вышло, ваше благородіе. უმასუხებდა სტრაჟიეი, რომელსაც რცხვენოდა ჩაღხოსაკან მოუფადნელი და მარცხება.

იქ დამწვენი ამ ამავს რომ მოიგონებენ, დღესაც ბევრს იცინიან თავის სამარცხენად, ხოლო ამ დღეს-კი დიდი მარტივი სკეს უძმოს-ძმას, დაიმატიფეს და დინო ასკეს... „არ დაბრეგებულხარ, არა, იო, შენი ჰინამე, ჩემო ბიძი!..“ ეუბნებოდნენ ახალგაზდებო.

ვისაც მოუკლაფ, ის მოჰკლაფს
ზარსა ირემსა რქიანსა ..

სხვას რას მოელოთ, შეოთხელო, ჩემგან არ ჩაღხოსგან? ამის შეტს ვერას გატყუოთ იმის ზირფეგასზე, იქნებ გინდათ იმის სიკვდილის ამბვიც იცოდეთ? — ჟერ არ მომგვდარს, ისევ ტეცხლია, ხს სსქანელს დასდეგს, ჩამოგლეჯოდ ტყავით და გაჭუნულას ქუდი და მასძისს „ო, მამო ირმავე, ო, დელო დაიფხავს!“ ხან თავის უბად აღებულს წისქვილშა სსკარტუნებს და ისმენს მოზარის, გამინარდას სუვეერეს: „შე უკლაფ, შე უკეთურო, შენა!“

ვაჟა-ფშაველა

ნ ა მ უ ს . ა ხ ლ ი ლ ი

(დასასრული *)

შემოსულებმა რალად გაუგებარ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, მსწრაფლ მოინადეს ნაბდები და ქალებისაკენ გაექანენ, ერთმა ელენე აიყვანა, დააგლო მიწაზე, დაადა გულზე და პირზე ხელი დააჭირა, მეორე მაროს მისწვდა.

განსმა საშინელი კვილი და ორი ძალა ერთმანეთს შეეკიდა.

უცნობის ხელები რკალივით მოხვეოდა მაროს ლერწამივით წელს. დორბლიანის ტუჩებით ქალის ლოყებს გაშმაგებით ჰკოცნიდა. გამხეცებული თვალები ჯოჯოხეთის ალივით ანათებდა მაროს წამებულ სახეს. მისი გაბოროტებული სახე, მაროს ბრჩილებით დაკაწრულ-დასისხლიანებული, ჩვეულებრივზე საზარლად გამოიყურებოდა. მარო იბრძოდა კბილებით,

ფრჩხილებით, ომობდა თავგანწირვით, მაგრამ თანდათან სუსტდებოდა; ქანცმილეული საბრალო ქალი უქანასენელ წუთს გრძნობდა.... მოიკრბა ძალ-ლონე, გამოუსხლტა ხელიდან მხეცს და კარებისაკენ გაექანა, მაგრამ... უცნობმა მოასწრო და წელში მოსწვდა.

— მიშველეთ!.. დაიკენესა მარომ; მაგრამ მისი ობოლი ხმა ქარმა გულში ჩაიკრა, გააქანა, სტყორცნა პირქუშ ყინულთა მთას და ლამის წყვილიაღში მიმოახინა.

ეს იყო მაროს უქანასენელი ამოკენესა.

ყველაფერი დაღუშდა. თითქოს ბუნებაც-კი შეძრწუნდა ამ საზარელ მოვლენით, შერცხვა, ჩაჩუშდა და ზურგი შეაქციაო.

მარო უგრძობლად ლოგინზე ევლო. უცნობს მძლიერი მკლავები გარს შემოერტყა და გაშმაგებით ჰკოცნიდა...

წყვილიაღით მოცულ ქოხში მისი ფშვენა და ელენეს უმწვეო ღმუილი და ისმოდა...

ქარმა დაჰქროლა ქოხს, დანარჩენი სახურავიც მოჰგლიჯა და უგრძობლად მგდებარე მაროს სახეზე თოვლი მიაყარა.

მარომ თვალები გაახილა. მამოიხედა — ბნელოდა, არავინა სჩანდა.

— ნენავ!.. დაიძახა ქალმა.

პასუხი არ იყო.

მარომ სკდა წამოდგომა, მაგრამ ამოდ... ტკივილების გამო ვეღარ იძვროდა. მოიკრბა ძალ-ლონე, წამოდგა და ლოგინზე ხელის ფათური დაიწყო. დედა არ იყო. ბოლოს დანახა მიწაზე დაგდებული ელენე, მივარდა და ღვიძება დაუწყყო.

ის მკვლარი იყო.

— ნე... ნავ!.. დაიგმინა ზარდაცემულმა ქალმა დი ფეხზე წამოვარდა დიდხანს იღვა გარინდებული და გარშემო თვალებს უაზროდ აცეცებდა. თანდათან გონს მოდიოდა — საზმარივით ავონდებოდა.

გადაღვა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ იქვე ჩაეყცა.

ელლა-კი ყველაფერი ცხადი იყო.

— ნამუსი... ნენავ... დომენტი... ჩემი ნამუსი... უაზროდ ბუტბუტებდა ის და თვალებს გარშემო აცეცებდა.

განსმა ობოლი, გულსაკლავი ძალის ყმუილი ომელმაც ზარივით ჰაერი გაარღვია.

წყალ გაღმა მუზობლების ძალი იყო.

მაროს ამ ხმამ თითქოს ახალი ძალ-ლონე შესძინაო, — ზეზე წამოიკრა და მდინარისაკენ გაექანა.

საშინელი შხული ამოსკდა მდინარეს გულიდამ და მიღუშებულ ბუნებას დაეჯახა. ბუნება შეძრწუნდა. დედამიწამ ზანზარი მართო.

შეშინებული მარო ნაპირზე შედგა.

ბუმბერაზმა მთებმა თითქოს დაიკენესესო, ქარმა ჩვეულებრივზე მედგრად დაჰქროლა და მას მოჰყვა საზარელი გრიალი. მარო უნებურად მობრუნდა.. ქოხი აღარ სჩანდა.

უპატრონოდ დატოვებულ დედის გვამს ქოხის კედლები ქუბოდ გახდომოდა, ხოლო თოვლი სამარად...

— ნე... ნავ!.. უქანასენელად ამოიკენესა მარომ და ნაპირიდან მოწყდა.

ადამიანი თითქოს დროებით ძილს მისცემია. ქვეყნად მავნე სულნი დათარეშობენ. არსით ხმა. მხოლოდ ძაღლების ყმუილი და დანგრეულ სახლების გრიალი არღვეს მყუდროებას. აზვართებული მდინარე მიიკლანება და ყინულბში გახვეულს, ნამუს-ახლილ მაროს გვამს მიაკურებს.

ქარი ზუზუნებს, ბუნება ძრწის, ცახცახებს, იტანჯება.

გ. შ. ლიაგაშვილი

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი

გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

*) იხილეთ „ივერია“ № 2.